ეროვნული თავისუფლების გზით – პიროვნული თავისუფლებისაკენ!
პიროვნული თავისუფლების გზით – ეროვნული თავისუფლებისაკენ!

საქართველო

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი
გამოდის ორშაბათობით და ხუთშაბათობით

№5 (1515) 20-23 იანვარი, 1997 წელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

რუსთაველი, გიორგი სააკაძე, სტალინი, ნაპოლეონი, მიქელანჯელო და სხვანი და სხვანი, სომეხი მეცნიერის აზრით, სომხები ყოფილან...

„ქვათა ღაღადის“ გადასახედიდან დანახული

მესამე-მერვე გვერდი

ნუგზარ ფოფხაძე:
ჩემთვის ერთ-ერთი პირველწყაროდან ცნობილია, რომ შევარდნაძემ უმალ არ დაასახელა პატიაშვილის გვარი. იყო სხვა კანდიდატურებიც

მეორე-მეცხრე გვერდი

ფოთში 5 000 000 ლიტრი სანათლავია შემოტანილი

მესამე გვერდი

ეპიდემიის ტერიტორიის „გაჩენაზე“ დაიწყო

მეშვიდე გვერდი

რიცა ენას გვგლეჯენ...

მეათე გვერდი

ინფორმაცია
ჯრუსპორდი
ჯაიფპორდი

პრეზიდენტის ერთი ხელმოწერით წამლის მაფიამ სერიოზული დარტყმა მიიღო

მკითხველს, ალბათ, ახსოვს ჩვენს გაზეთში გამოქვეყნებული პუბლიკაციები: „წამლის მაფიამ პარლამენტშიც შეაღწია“ და „კანონი, რომელიც შავ ლაქად დარჩება კანონთა ისტორიაში“.

ამ პუბლიკაციებში საუბარი იყო იმ მრავალმხრივ ნაკლულოვანი კანონის შესახებ, რომელიც პარლამენტმა მიიღო და რომელმაც გააღიზიანა არა მარტო ფარმაცევტთა დიდი ნაწილი, არამედ ფართო საზოგადოებრიობაც. სიამოვნებით უნდა გაუწყოთ, რომ გადაიდგა უპრეცენდენტო ნაბიჯი: საქართველოს პრეზიდენტმა (არ გაუფრთხილდა რა მუნდირის ღირსებას) საზოგადოებრივი აზრის, პრესის, პარლამენტართა ერთი ჯგუფის მიმართვის საფუძველზე, ვეტო დაადო პარლამენტის მიერ მიღებული კანონის იმ დანართს, რომელშიც კლანის ინტერესები იყო გათვალისწინებული (ამის შესახებ გვაქვს არაოფიციალური, მაგრამ სარწმუნო ინფორმაცია).

XI ბლასელებისა და აბიტურიენტებისათვის
ლეო ქიასრელის
„ბაკი ამბა“
არაორდინალური რეკლამა

„განდეგილის“ მწყემსი ქალის ხმაზედ
ნუთუ სკოლაში არვინ დაგიდის
ან და,
ანუ ძმა,
ან ნათესავი?
ან შვილი არ გყავს
ან შვილიშვილი
და თუ გყავს –
ცოდნით უსკდებათ თავი?
მოვა ზაფხული
და გამოცდისთვის
ნაცნობს თუ უცნობს
ნიშანს რომ ვედრი,
აგერ გაზეთი
და წააკითხე,
ან წაუკითხე

მეხუთე გვერდი!

საქართველო
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვინ იყო ვინ?

მასალები საქართველოს ისტორიის მომავალი მემატიანისათვის

ნუგზარ ფოფხაძე:

ჩემთვის ერთ-ერთი პირველწყაროდან ცნობილია, რომ შევარდნაძემ უმალ არ დაასახელა პატიაშვილის გვარი. იყო სხვა კანდიდატურებიც

გაგრძელება. დასაწყისი იხილეთ „საქართველო“ №70,71,72, 1996 წ. №1,2,3,4 1997 წ.

–ქვეტექსტში ტელევიზიის თქვენეულ პერიოდს გულისხმობთ?

–არა მარტო მაგას! თუმც, ესეც რომ იყოს, დანაშაული არც ეგ იქნება. დიახ, ზემოთქმული მაშინდელ ჩვენს რადიო-ტელევიზიასაც შეეხება, რომელიც, ერთი მხრივ, ჩვენი საზოგადოებრივ-პოლიტიკური და კულტურული ცხოვრების სისხლ-ხორცეული ნაწილი გახლდათ და, მეორე მხრივ–მისი ამსახველი სარკე.

რომელი ერთი ჩამოვთვალო იმდროინდელი ტელევიზიისა და რადიოს ციკლური გადაცემებიდან, რომლებიც გამსჭვალული იყო, უწინარესად, ეროვნული სულისკვეთებით–„ქართული პოეზიის ხუთი წუთი“ თუ „მამული“? „ენა დედაა ერისა“–ლევან ღვინჯილიას ხმალამოღებული ბრძოლა ქართული ენის სიწმინდისთვის თუ თემურ ქევხიშვილის „ქართული სიმღერის გაკვეთილები“? „სამშობლო განა მარტო ლამაზი მთებია?!“ თუ რადიოს „ოქროს ფონდის“ უნიკალური ჩანაწერების–აკაკის, გალაკტიონის, ივანე ჯავახიშვილის, შალვა ნუცუბიძის, აკაკი შანიძის და სხვა ბუმბერაზ მამულიშვილთა ახლებური გაჟღერება, რომელსაც რუდუნებით დღესაც პატრონობს ლამარა კიკილაშვილი? ან ეგებ ვინმეს გადაავიწყდა თამაზ კვაჭანტირაძის ტელეეპოჭა ან მერაბ კოკოჩაშვილის ისტორიული ტელესერიალი „გზა“?...

განა ეს გადაცემები არ შთაბეჭდავდნენ ჭეშმარიტ პატრიოტულ სულს მათ, ვინც დღეს 20-25, თუნდაც 30 წლისანი არიან? რა „პერესტროიკასა“ და რის „გლასნოსტზე“ შეიძლებოდა მაშინ არა თუ ლაპარაკი, ფიქრიც კი? ან, ვინ წარმოიდგენდა 1979 წელს, რომ ათ წელიწადში ზ.გამსახურდია პრეზიდენტი იქნებოდა დამოუკიდებელი საქართველოსი!

თუ იდეოლოგიური „ბორკილების“ ახსნას, სილაღის, თავისუფალი აზროვნების და ესთეტიკური ჩარჩოების გაშლას არ ემსახურებოდა იმ დროს მთელ საბჭოთა კავშირში ერთადერთი ციკლი „ეს ესტრადაა!“, რომელსაც ამზადებდნენ უდროოდ გარდაცვლილნი ევგენი მაჭავარიანი და იგორ არაჯიშვილი, ანდა ოთარ სეფიაშვილის „ილუზიონი“ რომ არა, მსოფლიო კინოხელოვნების შედევრები სხვა რომელი გზით იყო ხელმისაწვდომი უბრალო მოკვდავთათვის?!.

...1979 წლის 31 დეკემბრიდან საქართველოში ყოველი დილა იწყებოდა უკვდავი ძეგლის–„კიდევაც დაიზრდებიან...“ გამონათებით–მერაბ ბერძენიშვილის განუმეორებელი „ბოკვრები“ ანდრია ყარაშვილის „სამშობლოს“ ამაღელვებელი და მომწოდებელი მელოდიით მთელ საქართველოს აღვიძებდნენ(!), იმედსა და რწმენას უნერგავდნენ. ჰკითხეთ შესანიშნავ კომპოზიტორს ქალბატონ ნუნუ დუღაშვილს, რომელმაც უდროოდ გარდაცვლილ ბადრი ჩადუნელთან ერთად „პარტიული ტელევიზიის“ ეს მუსიკალური „ქუდი“ შექმნა, რატომ და როგორ შეიცვალა ტელევიზიისა და რადიოს ძველი საცნაური?

სხვათაშორის, ამ „არაპატრიოტული“ საქციელის გამო ცკ-ში და სუკ-ში 70-მდე საჩივარი შევიდა. წერდნენ, საქართველოს ტელევიზიამ მენშევიკების ჰიმნი აღადგინაო. ერთ გულმხურვალე „პატრიოტს“ თავისი დასმენისთვის მთელი რვეული დასჭირდა, თანაც, პირდაპირ... ლენინს გაუგზავნა, ოღონდ მისამართი რომ ვერ „დაადგინა“, ადგა და... თბილისში მის ძეგლთან დატოვა. გული მტკივა, როცა ვიხსენებ ამ „დასმენების“ ხელისმომწერთ–არცერთი მათგანი უცხო პლანეტიდან ჩამოსული არ ყოფილა. ყველანი, როგორც მწერალი იტყოდა, „ბედკრული საქართველოს შვილები“ იყვნენ...

თუნდაც მეორე ფაქტი, რომელიც მოგვიანებით მიამბეს და სიამაყით აღვივსე: როცა ცნობილი „სისხლიანი დაპირისპირების“ შემდეგ, 1992 წლის 6 იანვარს, ტელევიზია ჩაირთო, პირველი გადაცემა, რომელიც ეთერში გავიდა და რომელმაც საქართველოს სიბრძნისკენ(!) მოუწოდა, უნიჭიერესი დუეტის–გოგი ხარაბაძის და თემურ სუმბათაშვილის ცნობილი ციკლიდან გახლდათ. ამ ციკლმა, რომლის გაშვება მაშინ მთლად იოლი საქმე არ გახლდათ, საქართველოს შეუძახა დიდი ილიას შორსმჭვრეტელობით, აკაკის სიბრძნით, ვაჟას გენიოსობით, დავით კლდიაშვილის გულწრფელობით...

ისე, ცნობისთვის–ეს ციკლი სწორედ იმ დროს შეიქმნა, როცა ცენზურა ცენზურობდა, პარტიაც „ლენინური“ პარტია იყო და კომუნისტური იდეოლოგიის გინებას და დაცინვას საკუთარ სამზარეულოშიც კი ძნელად გაბედავდი, რადგანაც სუკი მაშინ ჯერ კიდევ „კაგებე“ გახლდათ.

ახლა მე ყალბი თავმდაბლობისთვის არ მცალია, ეს ფაქტები არგუმენტირებისთვის მჭირდება და არა სატრაბახოდ. და ამას ვაკეთებ იმიტომაც, რომ სათქმელი პირდაპირ მოვჭრა: იმ უნიჭიერეს შემოქმედთა პარალელურად, ვინც თავისი ინიციატივით ერის გამოსაღვიძებელ ასეთ „შეძახილს“ გვთავაზობდა, თანამდებობებზე იყვნენ ისეთი „ფუნქციონერებიც“, რომლებიც ბედავდნენ ასეთი გადაცემების ეთერში გაშვებას „ზემოდ“ შეუთანხმებლად, რადგანაც იმედი ჰქონდათ, რომ მხარდამჭერიც ეყოლებოდათ, მომწონებელიც და ტელევიზიის ხელმძღვანელობის დამცველიც–მოსკოვის ორთოდოქსებისგან, ზოგჯერ უფრო უარესი ადგილობრივი „ინტერნაციონალისტებისგან“ და სუკის შეტევებისგან. და ტელევიზია ამ მხრივ ბედნიერი გამონაკლისი არ გეგონოთ.

ადგეს ახლა და მითხრას იმან, ვისაც პატრიოტიზმზე მონოპოლია აქვს გამოცხადებული, რომ ეს და სხვა ფაქტები სწორი არ არის, ან რაღაც გამონაკლისია.

შეიძლებოდა თუ არა უფრო მეტის გაკეთება? რა თქმა უნდა, შეიძლებოდა, ტელევიზიაშიც, საერთოდ, კულტურის სფეროშიც, პოლიტიკაშიც... მაგრამ ამ პრეტენზიებს ვინმეს რომ წავუყენებთ, გონებაში აღვიდგინოთ მაშინდელი რეალიები და, როცა იმ დროში „გადავფრინდებით“, მერე ისიც გავიხსენოთ, რომ „სამიზდატის“ ნაღვაწის გარდა, იმ პერიოდში პრაქტიკულად საქართველოში არამცთუ არ აკრძალულა ქართველი ავტორის წიგნი, არამედ გამოსცემდნენ ჭაბუა ამირეჯიბის „დათა თუთაშხიას“, ბეჭდავდნენ მუხრანსაც, მურმანსაც, ანასაც, ოთარ ჭილაძეს, რეზო ჭეიშვილს, რეზო ინანიშვილს... ზეიმობდნენ „დედა ენის“ 100 წლისთავს–ძეგლსაც უდგამდნენ და აღადგენდნენ გოგებაშვილისეულ გამოცემებს, მოსკოვს გზავნიდნენ იქ აკრძალულ[illegible]ა აქ გამოცემულ პასტერნაკს, მანდელ[illegible]ტამს...

არამცთუ არ აკრძალულა ქართული თეატრის სპექტაკლი, არამედ იდგმებოდა „ყარყარე“... არამცთუ არ აკრძალულა ქართული ფილმი, არამედ გზას უხსნიდნენ ოთარ იოსელიანს, იღებდნენ „ცისფერ მთებს“, „თუშ მეცხვარეებს“, „მონანიებას“...

ღირდა ყოველივე ამის გამო რაღაც ხარკის გაღება, და თუ მოსკოვის „მარაზმის“ დაკმაყოფილება შეიძლებოდა ერთი ფრაზით–„ზის ჩრდილოეთიდან ამოსვლით“, ეს ნაბიჯი რატომ არ ჩავთვალოთ იმ დროის შესატყვის „ყივჩაყების ჩამოსახლებად“? მაშ რა, ზოგიერთებივით რუსეთისთვის მაშინაც „ბლოკადა“ და „ომი“ გამოგვეცხადებინა?..

ეროვნული კულტურის წინსვლისთვის ფიქრი და ზრუნვა რომ პრიორიტეტული მიმართულება იყო, ეს მარტო ჩემი მოსაზრება არ გახლავთ. ასე ფიქრობდა ბევრი. ყოველ შემთხვევაში, 9 აპრილამდე და მანამდეც ამას ხმამაღლა ლაპარაკობდა თვალსაჩინო ქართული ინტელიგენციის საკმაოდ დიდი ნაწილიც. რამდენად გულწრფელად, ეს მათ სინდისზე იყოს.

ეს პასაჟები იმისთვის დამჭირდა, რომ შემეხსენებინა მკითხველისთვის ის დრო და მემკვიდრეობა, რომელიც პატიაშვილს, როგორც პირველ მდივანს, ერგო. თუმც, ეს სიამაყე მასაც თავის წილ ეკუთვნოდა, როგორც ადრინდელი პოლიტიკური ხელმძღვანელობის თვალსაჩინო წევრს–სოფლის მეურნეობის დარგობრივ ცკ-ს მდივანს..

– ეგებ, უპრიანი იყოს ახლა დაგისვათ შეკითხვა იმის თაობაზე, ეგრძოდა თუ არა პატიაშვილი თავისი პირველმდივნობის დროს შევარდნაძეს?

– ეტყობა, ვერ დავაღწევ თავს ამ უხერხულ შეკითხვას და...

სიტყვა „ეგრძოდა“, ჩემი აზრით, არ უნდა იყოს სიზუსტის ეტალონი. შევარდნაძე პოლიტბიუროს წევრი იყო მსოფლიოს ზესახელმწიფოს საგარეო საქ

გაგრძელება მე-4 გვ.

ფოთში 5 000 000 ლიტრი სანათლავია შემოტანილი

ყოველ ნაბიჯზე გვესმის (და სამართლიანადაც!): „რვანახევარი ლარით როგორ იცხოვროს პენსიონერმა“?! ან – „შეიძლება ხელფასი 12 ლარი იყოს?!“

საბანი რამდენზეც გაგწვდეს, ისე დაიხურეო, – უთქვამს ბრძენს.

თუ ბიუჯეტი ძლიერი არ გვექნა, ხელფასსა და პენსიას ვერანაირად ვერ გაგვიზრდიან. ხოლო ბიუჯეტი რომ განმტკიცდეს, მარტო მუყაითი შრომა როდი კმარა. აუცილებელია მაკონტროლებელმა და სამართალდამცავმა ორგანოებმა მართლა ძირეულად გარდაქმნან მუშაობა.

კერძოდ, აი, რა გვაქვს მხედველობაში: ორიოდე კვირის წინათ არსებული მდგომარეობით, ფოთის საზღვაო პორტში 200 კონტეინერი ტექნიკური სპირტია შემოტანილი საზღვარგარეთიდან, რომელსაც გარკვევით აწერია „зерновой“, მაგრამ, ძირითადად, ტექნიკური სპირტია და მისგან დამზადებული ნებისმიერი სასმელი, ბუნებრივია, ადამიანის ორგანიზმისთვის მეტისმეტად მავნეა. მისგან მხოლოდ დენატურატი უნდა მზადდებოდეს ტექნიკური გამოყენებისათვის!..

ვის და რაში ესაჭიროება ეს სპირტი?

დრო იყო, ათიათასობით ტონა ასეთი სპირტი მიეწოდებოდა ტრანზიტის სახით რუსეთის ფედერაციაში შემავალ ქვლადიკავკაზს, სადაც 900-მდე სპირტის გადამმუშავებელი საამქრო მილიონობით ლიტრ არაყსა და კონიაკს აწვდიდა ქვეყნის ბაზარს. გახშირდა, შიგა და შიგ, მომხმარებელთა მოწამვლები, დასახიჩრებანი, სიკვდილიანობა. რუსეთის პრეზიდენტის უშუალო ჩარევითა და ჩერნომირდინის ბრძანებით შეიქმნა სპეციალური კომისია, რომელმაც ლამის მთლიანად დახურა სუროგატის მწარმოებელი საამქროები და სასტიკად აკრძალა ტრანზიტული სპირტის ჩვენი რესპუბლიკის მხრიდან შეტანა.

საბაგიეროდ, უმალვე იყნოსეს და დაფაცურდნენ ჩვენებური ყალბისმქმნელები და 86 ცენტად შეძენილი 1 ლიტრი სპირტიდან 2,5 ლ. არაყს ამზადებენ და სარფიც სახეზეა!..

რა კეთდება ამ დროს?

უყოყმანოდ მოგიგებენ: ვინც ინვესტორია, რა უფლება გვაქვს, საქონელი შელავათით არ შემოვატანინოთო! წინასწარვე ვაცხადებთ: ინვესტორს კი უნდა შემოვატანინოთ, მაგრამ, ჯერ ერთი, რატომ არ უნდა მოწმდებოდეს ლაბორატორიული წესით ვისგანაც გნებავთ შემოტანილი პროდუქტი?! და მეორეც...

რაც ახლა უნდა ვთქვა, ერთ ბავშვობისდროინდელ ცუდლუტობას მაგონებს. ვთქვათ, ტარდებოდა საინტერესო კონცერტი. ფილარმონიის ხელმძღვანელობა რამდენიმე მოსაწვევ ბარათს ურიგებდა პატივსაცემ ხალხს. შედის, მაგალითად, რომელიმე ასეთი პატივცემული მოქალაქის ვაჟი – ჩვენი ტოლა ბიჭი – დარბაზში და მერე ფანჯრიდან გვაწვდის თავის მოსაწვევს. მერე რომელიმე ჩვენგანი შედის და ასე შემდეგ.

ინვესტორის მიერ შემოზიდული სპირტის რაოდენობა ზღვაში წვეთია იმასთან შედარებით, რაც ფაქტობრივად შემოაქვთ, მაგრამ გვეტყვიან: „რა ვქნათ, ბატონო, ინვესტორის შემოტანილია!“ მაგრამ ეს კიდევ არაფერი! უფრო მეტ „ეშმაკობასაც“ სჩადიან: შემოსულ სპირტს აწერია – „ტრანზიტით აზერბაიჯანში“ ან „სომხეთში“. სინამდვილეში, სპირტს ადგილობრივი საქმოსანი შეისყიდის, გაჰყვება სპირტს აზერბაიჯანის საზღვრამდე, აზერბაიჯანელ მებაჟეს დაარტყმევინებს ბეჭედს, ეითომ სპირტი მართლა იქნა გატანილი მისამართისამებრ, გადაუხდიან იმ ბეჭდის დარტყმაში „კაი მაყუთს“ იქაურ მებაჟეს და ბასტა! გაკვარახჭინდა საქმე! შეზიდავენ თავიანთ საამქროებში ამ ნათაღლითარ სპირტს, ჩამოასხამენ არაყს, „ოპტომ“ მიჰყიდიან ეწ. მცირე ბიზნესის მოყვარულთ საკმაოდ ლიბერალურ ფასად ანუ იაფად, ისინიც ასევე, იაფად (რა ენაღლებათ!) მიჰყიდიან ჩვენს ჯიბეშეთხელებულ სპირტიანი სასმელების მოყვარულთ და ქალაქში დაირხევა შემაშფოთებელი ხმები: „ჯიხურში უყიდია არაყი, დაულევია და დილით მკვდარი უნახავთ ლოგინში!“

ერთი სიტყვით, გადაუდებელ საქმედ მიგვაჩნია, ამ მხრივ, სასტიკი კონტროლის დაწყება, თორემ რა გამოდის: მდიდრდებიან ჩვენს ბედოვლათობაზე დახარბებული საზღვარგარეთელი მომწოდებელნი, მდიდრდებიან ჩვენებური ყალბისმქმნელები, გვეხოცება ხალხი და... სახელმწიფოს ბიუჯეტს აკლდება მილიონობით ლარი!..

გიზო ზარნაძე

რედაქციის განმარტება

გაზეთ „საქართველოს“ მე-4 ნომერში დაისტამბა წერილი სათაურით – „ჰალსტუხიანი ყაჩაღების მორიგი განაზრახი“, რომლის შესავალშიც გკითხულობთ: „სიბაიოს გენიალური გადაწყვეტილება მიუღია.

თუ გინდათ საქართველოში რუსული ავტომანქანების შემოყვანა, გადაიხდით ღირებულების 15%-ს, ხოლო უცხოური მანქანების შემოყვანისას გადაგიშვლეპენ ღირებულების 65%-ს, ანუ საქართველოს ბაზარი (მოგეხსენებათ, მსუბუქ ავტომანქანებს ჩვენს ქვეყანაში არ აწარმოებენ) ერთი ხელის მოსმით ბარდება რუსეთს ხლამი პროდუქციის გასასაღებლად.

კიდევ მეტიც, ავტომანქანის ღირებულებას შეგიფასებთ თვით მებაჟე და ღირებულების 15 ან 65 (უნდა იყოს 55) პროცენტიც აქედან გამოკვარახჭინდება“.

ვრცელი წერილი ამ ინფორმაციის ანალიზს ეძღვნება და სავსებით ბუნებრივად მიგვაჩნია მისი დასათაურება ისე, როგორც ის არის. კერძოდ, ამგვარი გადაწვეტილების მიღება არა ქვეყნის, არა ხალხის, არამედ კერძო პირთა ინტერესებში უნდა შედიოდეს. ამგვარ ყაჩაღურ კანონს კი ტყის ყაჩაღები ვერ მიიღებენ, ეს მხოლოდ ჰალსტუხიან ყაჩაღებს შეეძლოთ ჩაფდანათ. წერილის ამ ნაწილში რედაქცია სავსებით მართებულად თვლის თავის პოზიციას, მაგრამ დაგუშვით ერთი დასანანი შეცდომა, რის გამოც მკითხველს ვაწვდით ამ განმარტებას:

გადაწყვეტილება სიბაიოს კი არა, პარლამენტს მიუღია. არითუ გადაწყვეტილება, კანონი გამოუცია.

სიბაიო, როგორც იმმასრულებელი ხელისუფლების ორგანო, ვალდებულია კანონს დაემორჩილოს, ამასთან დავძენთ, რომ ჩვენი ინფორმაციით, არც მანქანის შეფასებაში იღებს მებაჟე მონაწილეობას.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, მკითხველებს ვთხოვთ, ჰალსტუხიანი ყაჩაღების ნამდვილ ადრესატად, ამ კონკრეტულ სიტუაციაში, კანონის მომღებნი იგულისხმონ...

გაზეთ „საქართველოს“
რედაქცია

საქართველოს
გაერთიანებული
რესპუბლიკური პარტიის

განცხადება

მიუხედავად ქართველი ერის მიმართ ჩადენილი უმძიმესი დანაშაულისა, რომელიც კვალიფიცირდება როგორც დანაშაული ადამიანობის წინაშე – ქართველი ერის ცნობიერი გენოციდისა აფხაზეთის ტერიტორიაზე ეთნიკური წმენდის მიზნით – და რომელიც ორგანიზებული და ჩადენილი იქნა არძინბასა და მისი ხროვის მიერ, საქართველოს ხელისუფალნი აწარმოებენ მოლაპარაკებას ამ ხროვასთან და დღემდე შესაძლებლად სცნობენ არ გამოაცხადონ ეს ხროვა ოფიციალურად სისხლის სამართლის დამნაშავედ სათანადო იურიდიული შედეგებით. ეს მოქმედება ქართველი ერის და გენოციდის მსხვერპლთა შეურაცხყოფად მიგვაჩნია. უფრო მეტიც: არძინბასთან და მის ხროვასთან მოლაპარაკებას აწარმოებენ არა შინაგან საქმეთა სამინისტროს ან სხვა სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომლები, არამედ საგარეო საქმეთა სამინისტროს თანამშრომლები, რაც იურიდიულ ნორმათა მძიმე დარღვევაა საქართველოს საზარალოდ. ვაცხადებთ, რომ ეს პოლიტიკა სხვაგვარად ვერ აიხსნება, თუ არ უხეში მცდელობა, *ერთგვარი* იურიდიული ფორმით წარმოაჩინონ ქართულ-აფხაზური და რუსულ-ჩეჩნური ურთიერთობები, რაც ემსახურება რუსეთის ინტერესებს, მაგრამ პირდაპირ წინააღმდეგობაშია საქართველოს ინტერესებთან.

კატეგორიულ პროტესტს ვაცხადებთ ამ მოქმედების წინააღმდეგ.

რუსთაველი, გიორგი სააკაძე, სტალინი, ნაპოლეონი, მიქელანჯელო და სხვანი და სხვანი, სომეხი მეცნიერის აზრით, სომხები ყოფილან...

„ქვათა ღაღადის“ გადასახედიდან დანახული

ბაკურიანი – ბაკურიანის ძის გვარითაა ტაოს ცნობილი ერისთავთ-ერისთაების გრიგოლ და აბაზ ბაკურიანისძეების მამა (X საუკუნის დასასრული – XI საუკუნის I მეოთხედი). XI საუკუნის სომეხი ისტორიკოსის ასოღიკის ცნობით, გრიგოლ ბაკურიანის ძე სარჭლობდა ტაოელთა ლაშქარს, რომელიც 997 წელს დაეით III კურაპალატმა ხლათის ასაღებად გაგზავნა. აქ ბაკურიანის ძე ტყვედ ჩაუვარდა არაბებს. ბიზანტიელი ისტორიკოსი გიორგი კედრენე ბაკურიანის ძეს იხსენიებს იბერიის იმ უპირველეს დიდგვაროვნებს შორის, რომლებიც დაეით კურაპალატის მემკვიდრეობის მისაღებად ტაოში მოსულმა ბიზანტიის კესარმა ბასილ II-მ თან წაიყვანა და პატრიკიოსის (პატრიკი რომში: პრივილეგიური წოდების წარმომადგენელი), წოდება მიანიჭა.

გრიგოლ ბაკურიანმა ააშენა პეტრიწონის მონასტერი, მას აგრეთვე ბაჩკოეთის მონასტერს ეძახიან. ესაა შუა საუკუნეების ქართული მონასტერი, კულტურულ-საგანმანათლებლო კერა საზღვარგარეთ (ახლანდელი ბულგარეთის ტერიტორიაზე, როდოპის მთებში, ქპლოვდივის მახლობლად, სოფბაჩკოეთში). აი, ეს მონასტერი 1083 წელს დააარსა ბიზანტიის გამოჩენილმა პოლიტიკურმა და სამხედრო მოღვაწემ, ეროვნებით ქართველმა გრიგოლ ბაკურიანისძემ. მანვე შეუდგინა მონასტერს „ტიპიკონი“ (წესდება) ქართულ და ბერძნულ ენებზე. იქაურ მწიგნობრულ საქმიანობას, თითქმის ოცი წლის მანძილზე ხელმძღვანელობდა იოანე პეტრიწი, რომლის ლიტერატურულ-ფილოსოფიურმა სკოლამ კიდევ უფრო დაუახლოვა ქართული მწერლობა ბიზანტიურს, დოგმატიკურ-ფილოსოფიური წიგნების თარგმნითა და კომენტირებით დიდად შეუწყო ხელი ქართული ფილოსოფიური აზროვნების განვითარებას. პეტრიწის მონასტრის საძველეში დაკრძალულნი არიან ძმები აბაზ და გრიგოლ ბაკურიანისძენი.

ტიპიკონის ძველბერძნულ რედაქციების შესავალში გარკვევითაა ნათქვამი: "აღვაშენე მე გრიგოლმა, ღვთის ნებით სევასტოსმა და მთელი დასავლეთის დომესტიკოსმა, ღვიძლმა შვილმა ნეტარი ბაკურიანისა, ბრწყინვალე ერისთავთ-ერისთაისა, რომელიც წარმოშობით ვარ აღმოსავლეთი მხარეებიდან, იბერთა უბრწყინვალესი გვარიდან" (გეორგიკა, ტომი მეხუთე, 1963, გვ. 99).

ტიპიკონის ქართული ტექსტის შესავალში გრიგოლ ბაკურიანისძე ამბობს: „აღიწერა და დაემტკიცა ბრძანებითა ჩემ გრიგოლისითა, ნებითა ღმრთისაითა სევასტოსისა და დიდისა დემესტიკოსისა დასავლეთისათა, ძისა სანატრელისა ერისთაეთა მთაერისა ბაკურიანისაითა აღმოსავლელისა და ქართველისაითა". იქვე გრიგოლ ბაკურიანისძე ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ჩვენ „ქართველნი ვართ ნათესაეთ მხნენი და მხედრობითა აღზრდილნი და მარადის ჭირვეულსა ცხორებასა ჩვეულნი". (იხ.აქვე. გვ. 35-36). ამრიგად, გრიგოლ ბაკურიანის ძე თვითონვე აცხადებს: მე ქართველი ვარ, ქართული მონასტერი ავაშენე, მისი წესი და განგება შევადგინე და დავამტკიცეო.

თვით იმდროინდელი სომხური წყარო – XII საუკუნის სომეხი მემატიანე მათეოს ურჰაელი წერს, რომ „გრიგოლ ბაკურიანის ძე ტომით ქართველი იყო" (სომხური გამოცემა, 1888, გვ. 148).

გრიგოლ ბაკურიანისძის წინაპრები წარჩინებული ადამიანები, მხედართუფროსები, ბიზანტიის პოლიტიკური ცხოვრების აქტიური მონაწილენი ყოფილან. რაც შეეხება თვითონ გრიგოლს, როგორც ითქვა და ტიპიკონიდანაც ჩანს, იგი წარმოშობილია იბერთა უბრწყინვალესი გვარიდან, არის ძე ბაკურიანისა – ბრწყინვალე ერისთავთ-ერისთაისა, დაჯილდოებულია „სევასტოსის" პატივით, უჭირავს თანამდებობა დასავლეთის დომესტიკოსისა.

გრიგოლ ბაკურიანის ძის ქართველობა თითქოს არ უნდა გამხდარიყო საკამათო, იგი უცხოტომელთა განსჯის საკითხად არ უნდა ქცულიყო. მაგრამ, როგორც იტყვიან, ჩვეულება რჯულზე უმტკიცესიაო და ჩვენი სამხრეთელი მეცნიერი, ერთ დროს ახალქალაქის მკვიდრი პმურადიანი ბეჭდავს სტატიას, რომელსაც უძღვნის პეტრი წონის ტიპიკონის ბერძნული და ქართულ რედაქციების შეფასებას (დაიბეჭდა სომხეთის მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნ-

გაგრძელება მე-8 გვ.

საქართველო
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნუგზარ ფოფხაძე:

ჩემთვის ერთ-ერთი პირველწყაროდან ცნობილია, რომ შევარდნაძემ უმალ არ დაასახელა პატიაშვილის გვარი. იყო სხვა კანდიდატურებიც

მეორე გვერდიდან

მეთა მინისტრი, ქვეყნის ერთ-ერთი გამორჩეული, გავლენიანი ხელმძღვანელი და ავტორიტეტიანი, მსოფლიოში პოპულარული პიროვნება. ამიტომ, ერთ-ერთი „პატარა" რესპუბლიკის მანამდე უცნობი პარტიული ლიდერის (საქართველოს მოსახლეობისა და მოსკოვის მცირერიცხოვან ფუნქციონერთა გარდა, ვინმემ იცოდა მაშინ ვინ იყო პატიაშვილი?) აშკარა, საჯარო ბრძოლა მის წინააღმდეგ, ჩემთვის წარმოუდგენელია.

პატიაშვილი არ იყო ის მიამიტი ბალღი, შევარდნაძესთან „ომობანას" თამაში ან ბუტიაობა დაეწყო, თანაც–ყველას დასანახად. მით უმეტეს იმათი, ვისაც იგი შევარდნაძის „აგენტად" თვლიდა. სამწუხაროდ, ამ მხრივ ის ბევრის მიმართ სრულიად უსაფუძვლოდ ეჭვიანობდა. როგორც მისი ბოლოდროინდელი პუბლიკაციებიდან ჩანს, ის მეც ამ კატეგორიას მიმაკუთვნებდა. ეტყობა, „მაგრად" ყოფილა ინფორმირებული, თორემ ეს დაახლოვებით იმასვე ნიშნავს, რომ ახლა ვამტკიცო, პატიაშვილი ლიგაჩოვის „აგენტი" იყო-მეთქი. ოღონდაც იმ განსხვავებით, რომ მისი მოღვაწეობის „შედეგებით" თუ ვიმსჯელებთ, ეგებ, დიდ „ცოდვას" არცკი ვიღებდე საკუთარ თავზე.

ჩემი მხრიდან იმას ვიტყვი, რომ შევარდნაძის მოსკოვში გადაყვანის დღიდან 9 აპრილამდე, მისთვის თვალი მხოლოდ ტელეეკრანის მეშვეობით თუ მოვიკრავს. ერთხელაც კი არ მისაუბრია მასთან ტელეფონით, გარდა 1988 წლის ნოემბრის კრიზისის დღეებისა, როცა მისი ინიციატივით გაიმართა საუბრები, რომლებიც, უბრალოდ, პატიაშვილის მიერ მიღებული გადაწყვეტილების გამო, თანამდებობრივად სწორედ მე მევალებოდა.

...არაერთგზის შევსწრებივარ პატიაშვილის ხაზგასმულ სიფრთხილეს და „ხმამაღალ გათვლას" იმის შესახებ, მოიწონებდა თუ არა ჩვენს ამა თუ იმ გადაწყვეტილებას შევარდნაძე. ეს, ასე ვთქვათ, საჯარო, დაუფარავი, სხვის გასაგონად გამოხატული პოზიცია გახლდათ და, ალბათ, იმათთვის უფრო იყო განკუთვნილი, ვისაც, მისი ინტერესებიდან გამომდინარე, საჭირო იყო, ეჭვი არ შეპარვოდა მის გულწრფელ დამოკიდებულებასა და ერთგულებაში გამზრდელისა და წინამორბედისადმი.

მარტო ის „გაცეცხლება" რად ღირდა, რომელიც მან დაგვატეხა თავს მე და ჩვენს საერთო მეგობარ პოეტს, ამ უკანასკნელის, პატიაშვილისეული გაგებით, „ალეგორიული" ლექსის გამო, რომელიც გაზეთ „კომუნისტში" გამოქვეყნდა. ასევე, მეცნიერებათა აკადემიაში არჩევნების წინა დღეს იგი „უხეშად" ჩაერია ამ „ავტონომიურ" სფეროში, იმ მოსაზრებით, რომ ერთ-ერთი ვიცე-პრეზიდენტის კანდიდატურა, მისი ვარაუდით, შეიძლებოდა, არ მოსწონებოდათ „მოსკოვში"(!).

რა თქმა უნდა ეს „თამაში" იყო, თორემ, თუ გულში ბოღმა ჰქონდა ჩადებული, როდის იყო მას ანგარიში გაეწია ვინმეს აზრისთვის, ადგებოდა და თანამდებობებიდან უცერემონიოდ და „სკანდალით" გარეკავდა პირველი მდივნის პოსტზე სავარაუდო კონკურენტებს–შევარდნაძის პერიოდში დაწინაურებულ ავტორიტეტიან ადამიანებს, ზოგიერთს დააპატიმრებინებდა კიდეც.. თანაც, თავის ამ ჩანაფიქრს ისე წარმოადგენდა, თითქოს წინამორბედის „დანაბარებს" ასრულებდა...

მაგრამ იყო მომენტები, როცა დაკვირვებული თვალი აშკარად შეამჩნევდა განაწყენებას და ამ კუთხით „იშიფრებოდა" კიდეც ზოგიერთი მისი ემოციური ნაბიჯი და შესაძლოა, საკადრო გადაწყვეტილებაც.

ამ განაწყენების მიზეზი „ძველებისათვის" ცნობილია. მაგრამ ახლა მკითხველთა აუდიტორია იმდენად გაახალგაზრდავდა, რომ, ეგებ, ინტერესმოკლებული არ იყოს იმ „ისტორიის" მოკლედ გახსენება, რომელიც პირდაპირ უკავშირდება საქართველოს კომპარტიის ლიდერის პოსტზე შევარდნაძის იმდროინდელი შემცვლელის შერჩევის პროცესს.

...ჩემთვის ერთ-ერთი პირველწყაროდან ცნობილია, რომ, როცა სკკპ უმაღლეს დონეზე განიხილებოდა „მემკვიდრის" საკითხი, შევარდნაძემ უმალ არ დაასახელა პატიაშვილის გვარი. იყო სხვა კანდიდატურებიც, შეიძლება, უფრო ასაკოვანი, გამოცდილი, განათლებული, დალაგებული, შემწყნარებელი და სხვა, მეტნაკლებად დადებითი ადამიანური თვისებებით შემკული პიროვნებები. ასეთ დროს სასურველ „თვისებებს" რა გამოლევს? ერთი სიტყვით, დასახელდა კანდიდატურები–თენგიზ მენთეშაშვილის (მაშინდელი სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი), დიმიტრი ქართველიშვილის (მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე), გურამ გაბუნიასი (პარტიის თბილისის კომიტეტის პირველი მდივანი) და სხვათა.

თურმე გორბაჩოვს უკითხავს: ჩვენი ჯუმბერი?..

რა თქმა უნდა, ჯუმბერიც შეიძლებაო, უპასუხია შევარდნაძეს..

პირველი მდივნის კანდიდატურის განხილვის იმ დროისათვის ჩვეული პროცესი ზოგადად, ხოლო ეს დიალოგი – კონკრეტულად, ნორმალური გახლავთ. არანორმალური ის არის, რომ კანდიდატურის განხილვის ეს „დეტალები", თურმე, დაუყოვნებლივ გამხდარა პატიაშვილისთვის ცნობილი, ვისგან, ესეც არ არის დამალული.

თუ ხელისუფლების უმაღლეს ეშელონებში ჭიდილზეა საუბარი, იმ დროისათვის მოსკოვი ამ მხრივ კლასიკურ მაგალითს წარმოადგენდა. ამიტომ არ



უნდა იყოს აღმოჩენა ის, რომ ქართველი კაცის, პოპულარული პარტიული ლიდერის იმ ვეებერთელა ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრად და პოლიტბიუროს წევრად გადაყვანას, „ლიგაჩოვი და კომპანია" (ამ ტერმინს პირობითად ვიყენებ) აღტაცებით არ შეხვდებოდნენ. ამიტომ მაკიაველისეულად დროულად ჩააგდეს ეჭვის თესლი მის მომავალ შემცვლელთან. ალბათ, ისე კარგად ჰყავდათ შესწავლილი იგი და, ასევე, „ღრმად" იცნობდნენ საქართველოში ვითარებას, რომ დარწმუნებული იყვნენ, ნოყიერი ნიადაგი დახვდებოდათ. ის ვარაუდი, რომ პატიაშვილი, ნებსით თუ უნებლიეთ, შეიძლებოდა გამხდარიყო თანამოაზრე „კონსერვატორთა" იმ გუნდისა, რომელიც დაუპირისპირდა „რეფორმატორებს", შესაძლოა, საფუძველს მოკლებული არც იყოს. 9 აპრილიც, ვფიქრობ, პირდაპირ თუ ირიბად, ამ „ბრძოლის" თავისებური გამოძახილია.

საქართველოში და მოსკოვში მოვლენების შემდგომმა განვითარებამ დაგვანახვა, რომ, ეტყობა, არც შევარდნაძე ცდებოდა, უპირატესობას სხვა კანდიდატურებს რომ ანიჭებდა და არც ის, ვინც პატიაშვილის მანიაკურ ეჭვიანობას „ფსონში ჩადიოდა".

...მაგრამ იყო მომენტები, როცა პირადად მე, საკმაოდ თავსატეხი რებუსები მქონდა ამოსახსნელი. ეს არ ეხება მარტო პოლიტიკური სფეროს, არც საკადრო საკითხებს...

–მაინც რა საკითხში იყო მთავარი უთანხმოება თქვენს ე.წ. გუნდში?

–ზემოთ გაკვრით ვთქვი, ახლა კი დაბეჯითებით ვამბობ: პრინციპული უთანხმოების საფუძველი იყო პატიაშვილის, როგორც ცკ-ს პირველი მდივნის ხელმძღვანელობით დამკვიდრებული პოლიტიკური პრაქტიკის ზნეობრიობასთან შეუთან-

გაგრძელება მე-9 გვ.

მთავრობის სხდომა

18 იანვარს გაიმართა მთავრობის სხდომა – პარლამენტართა და სხვადასხვა უწყებების ხელმძღვანელთა მონაწილეობით. დღის წესრიგში იდგა შემდეგი საკითხები: 1. საქართველოს 1996 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების წინასწარი მონაცემების შესახებ; 2. საქართველოს 1997 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ საქართველოს კანონის პროექტის თაობაზე; 3. საქართველოს პრეზიდენტის 1997 წლის საგანგებო საფინანსო პროგრამით განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ.

როგორც ე.შევარდნაძემ აღნიშნა, 1997 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პარამეტრები უკვე აპრობირებულია. თუმცა სახელმწიფო ბიუჯეტის მიღება დაგვიანდა, პრეზიდენტმა იმედი გამოთქვა, რომ მომავალში მსგავსი რამ აღარ განმეორდება. მან აქვე დასძინა, რომ ბიუჯეტის დაგვიანებას მთელი რიგი ობიექტური მიზეზები აქვს. სხდომაზე აღინიშნა, რომ საქართველოს პარლამენტს ბიუჯეტის პროექტის მოსმენა 6 თებერვლისთვის აქვს დაგეგმილი, 7 თებერვალს პროექტს პირველი მოსმენით მიიღებენ, რის შემდეგაც საპარლამენტო კომიტეტში ერთი კვირის განმავლობაში განიხილავენ და იგი მომდევნო სასესიო კვირაში საბოლოოდ დამტკიცდება. პრეზიდენტმა თხოვნით მიმართა პარლამენტს, განიხილონ ასევე პრეზიდენტის სახელმწიფო პროგრამა, რომელიც ქვეყნის სოციალური განვითარებისაკენ არის მიმართული.

პრეზიდენტის პროგრამა ითვალისწინებს უკიდურესად გაჭირვებული მოსახლეობის სოციალურ დახმარებას. პროგრამა გვთავაზობს შეიქმნას მუდმივი დახმარების ინსტიტუტი, 120 ათასი უკიდურესად ღარიბი ოჯახისათვის. მარტოხელა მოხუცების დასახმარებლად გათვალისწინებულია 9 მლნ, ხოლო ლტოლვილთათვის 56 მლნ.ლარი. იდგმება ნაბიჯები მეანაბრეთა ინდექსაციისათვის, რისთვისაც პირველ ეტაპზე პროგრამა 5 მლნ.ლარის გამოყოფას ითვალისწინებს.

როგორც პრეზიდენტმა აღნიშნა, იმ შემთხვევაში, თუ პროგრამას პარლამენტი მოიწონებს, მისი ერთ-ერთი პრიორიტეტი წარმოების სტიმულირება და ინვესტიციები იქნება. (იფრინდა)

«ცოტა ხალხით ბევრი საქმე ვაკეთოთ»

თებერვლიდან მოსალოდნელია შტატების შემცირება საბიუჯეტო ორგანიზაციებში. პირველ რიგში იგი სახელმწიფო კანცელარიაში შემცირდება. როგორც სახელმწიფო მინისტრმა ნ.ლეკიშილმა განაცხადა, თუ ადრე კანცელარიის აპარატში 850 თანამშრომელი იყო, შემდეგ მათი რიცხვი 450–მდე შემცირდა. პირველი თებერვლიდან პასუხისმგებელ მუშაკთა რიცხვი 100 კაცამდე დავა. დანარჩენი ტექნიკური და მომსახურე პერსონალი იქნება.

მთავრობის წევრებმა ანალოგიური წინადადებით მიმართეს საქართველოს პარლამენტს. (იფრინდა)

გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატი საქართველოში ლტოლვილების მდგომარეობით დაინტერესდა

სრულიად საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვის ასოციაციის პრეზიდენტმა გ.კერვალიშვილმა უენევიდან, გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატიდან მიიღო წერილი. უმაღლესი კომისარიატი ასოციაციისაგან ითხოვს ინფორმაციას, საქართველოში ლტოლვილების მდგომარეობის შესახებ.

როგორც სააგენტოს კორესპონდენტთან საუბარში გ.კერვალიშვილმა განაცხადა, ასოციაციის ხელმძღვანელობა მზად არის აღნიშნულ ორგანიზაციას მიაწოდოს ზუსტი ინფორმაციები ქართველ ლტოლვილთა მდგომარეობის შესახებ. (იფრინდა)

XI კლასელებისა და აბიტურიენტებისათვის

სკოლაში შესასწავლი ქართული მწერლები

ლეო ქიაჩელი „ჰაკი აძბა“

(განხილვა)

ნოდარ გრიგალაშვილი

ფაქტი და მხატვრული სინამდვილე

„ჰაკი აძბას“ დასაწერად ლეო ქიაჩელისათვის ერთგვარ შემოქმედებით იმპულსად იქცა სინამდვილეში მომხდარი ფაქტი, რომელსაც ადგილი ჰქონდა 1918 წელს.

ასე რომ, სიუჟეტს, რომელსაც მწერალი გადმოგვცემს, ისე როგორც ჭეშმარიტ პროზაულ თხზულებათა უმრავლესობას, თავისი დოკუმენტური წყარო გააჩნია.

მაგრამ „ჰაკი აძბას“ მხატვრული სინამდვილე სრულიად განსხვავებულია ცხოვრებისეული სინამდვილისაგან.

ნაწარმოების მიზანდასახულობის უკეთ შესაცნობად უმნიშვნელო არ იქნება შედარება იმისა, თუ რა მოხდა რეალურად და მომხდარი ფაქტებიდან რაზე გადააქვს აქცენტი მწერალს, ან რა შეთხზა, რა გამოიგონა, რა შეიტანა ნაწარმოებში, როგორც საკუთარი ფანტაზიის ნაყოფი.

რეალური ფაქტი ასეთი გახლდათ: 1918 წლის თებერვალში უშედეგო დიპლომატიური მისიის შემდეგ, თურქეთიდან უკან ბრუნდებოდა ორი ქართველი პატრიოტი პავლე ინგოროყვა და რევაზ გაბაშვილი. ისინი მოთავსდნენ გემში „კაროლ-კარლ“. ამ მოგზაურობასთან დაკავშირებით რევაზ გაბაშვილი წერს: „უკან მგზავრობა – ხუთი საათი – უფრო სახიფათო და მნიშვნელოვანი გამოდგა. გემზე დაგხვდა ერთი „ასეული“ ქართული ჯარის, ოფიცერ დავით მიქელაძეს მეთაურობით და ბევრი საინტერესო ამბავი გავიგეთ და მოხდა. თურმე ეს გემია, რომლის „გაბოლშევიკებულ“ მეზღვაურებს (მატროსებს) გაუცარცვიათ შავი ზღვის სანაპიროები, აქა-იქ დაუხოციათ „კონტრრევოლუციონერები“ და მოუკლავთ ემუხვარი – გემის ონკანის ორთქლში მოხარშვით. სამხედრო გემი მართლაც დატვირთული იყო ხალიჩებით და უადგილო-ადგილას დაგროვილ ტომრებით, სავსეთი შაქრით, ფქვილით და სხვ. და სხვა. ოფიცრები (რუსები და რუმინელები: ეს გემი რუსებმა შეიძინეს რუმინელებისაგან, ომის დასაწყისში) ისე იყვნენ დაშინებულნი, რომ მეზღვაურნი, რასაც უნდა, იმას უშვრებოდნენ და საითაც უნდოდათ, თავს უკრავდნენ. განსაკუთრებით დავით მიქელაძის თავდაჭერილობას უნდა მიეწეროს, რომ „ხუთი საათის“ განმავლობაში, ათჯერ შეტაკება და სისხლის ღვრა თუ არ მოხდა მატროსებსა და ჯარისკაცებს შორის, ან საერთო ჟლეტაც „ორ ბანაკს“ შორის. გახულიგანებული, მთვრალი რუსის მატროსები წამ და უწუმ შემოგვივარდებოდნენ იმ ზალაში, საცა მიქელაძეს დაესხა თავისი ასეული სკამებზედ („სკამეიკა“) და არც განძრევის, არც ხმის ამოღების ნებას არ აძლევდა, როცა რომელიმე რუსი შემოგვივარდებოდა, იწყებდა პროვოკატორულად უშველ ლანძღვასა, მუქარას და „კონტრ... რევოლიუციონერის“ ძახილს. მართლა დიდი მოთმენა იყო საჭირო და მეც კი სულ გული ჯლში მებჯინებოდა, არ ამომეღო რევოლვერი და ძაღლივით არ დამეგორებინა მორიგი არამზადა... მაგრამ მიქელაძის მჭრელი თვალი, ალბათ ხათრიც და სამხედრო დისციპლინის შეგნება, – თოფებით შეიარაღებულ ჯარისკაცებსაც და მეც – ხმაგაკმენდილად და გაუნძრევლად გვტოვებდა. ვინ ვის აჯობებდა, მგონი ძნელი გამოსაცნობი არ იყო, რადგან ჩვენ ვიყავით ასნი, მატროსები 250, მათი უფროსებიც ხომ ჩვენს მხარეზედ იყვნენ, მაგრამ ჩემ რჩევაზედ, – აგველაგმა მათი თავხედობა – დავით მიქელაძე ჯერ გადაკვრით მეუბნებოდა, „არა, სხვანაირად უნდა მოვაწყოთ“-ო და მერე გამიმეღავნა, რომ გემის ოფიცრებთან შეთანხმებით, ბათუმში ჩავალთ თუ არა, – მატროსებს განაიარაღებენ და „საქართველოს ჩააბარებენ ჯავშნოსან გემს“-აო.

...ან შენ, დავით, რა იცოდი, ან მე, რეზომ, რა ვიცოდი. რომ ეს ვარდი... ოცნებისა... ისე მალე დასჭკნებოდა?!“

ზღვა იყო წყნარი, გემის ხალხი კი მშფოთვარე, ჩვენ სულ-განაბულნი: აქედან წასვლას არა ჰგვანდა, როცა ზღვა შფოთავდა, ნავის ხალხი კი აუღელვებლად ვეკვროდით ფიცრებს.

წყნარად და გედივითი შეცურდა „კაროლ კარლ“-ი ბათუმის ყურეში და გაჩერდა. ჰაერიც კი თითქო მოეცვა რაღაც მოლოდინის სიჩუმეს...

მაგრამ დავით მიქელაძის, სოსო გოგოლაშვილის (და, მგონი, კიდევ ერთი საზღვაო ოფიცრის) მისია, – ნოე ჟორდანიასთან, უნაყოფო დარჩა – „მომზადებულ შეთქმულობაზედ“ დასტური არ მისცა.

ღვთის მადლით, იმ ღამეს, სრულიად მოულოდნელად, რაღაცა სხვა საქმეზედ ჩამოვიდა ნოე რამიშვილი და, როგორც კი გაეგო საქმის მდგომარეობა, ცეცხლივით დატრიალდა, შეაგროვა სადღაც გვარდიელები და განთიადისას, შორიდან ვუყურებდით, როგორ თოფის გაუსროლელად ქართველებმა ჩაიგდეს ხელში პირველად და პირველი ჩვენი ჯავშნიანი გემი. გამოიყვანეს თვალ-მოუფშვნეტელი, პირდაუბანელი 250 მატროსი და ბათომის ციხეში უკრეს თავი. მომავალ საქართველოს გაუჩნდა სამხედრო ფლოტი. თუ ე.გეგეჭკორმა თავისი დეპეშით ბათუმი უპატრონო გახადა, – ჯავშნოსანის დაპატრონებით, ნ.რამიშვილმა (დ.მიქელაძისა, გოგოლაშვილისა და რ.გაბაშვილის წყალობით) ზღვისპირეთს პატრონი გაუჩინა... თითქო.

ჩვენსა და... გემის ოფიცერთა სიხარულსა და კმაყოფილებას... საზღვარი არა ჰქონდა, რომ იტყვიან, და, ერთგულებას გვეფიცებოდნენ, რაკი ასვთ „ხიფათსა, სირცხვილსა და სიკვდილს გადაგვარჩინეთ“-ო.

„აქა ამბავი ფლოტის გაპარვისა“

მაგრამ, მეორე დღიდანვე ისეთი დაუჯერებელი ამბები დატრიალდა, ადამიანს საგიჟეთში ნახული სიზმარი ეგონება: მთელი ბათუმი აღელვებული და გახარებული ლაპარაკობს ახალ ამბებზედ. მე მივდივარ ჩემ სასტუმროში და, სრულიად შემთხვევით შემოსწრებულ ადამიანს, მიწვევენ იქვე „საზღვაო თათბირზე“. შევდივარ. თავმჯდომარედ ბრძანდება გიზო (?) ანჯაფარიძე, იქვეა სოსო გოგოლაშვილი და კიდევ რამდენიმე ქართველი; – არც ერთს წარმოდგენაც არა გვაქვს, თუ რა არის სამხედრო გემი, ან საზოგადოდ საზღვაო საქმე. მსჯელობაა, თუ როგორ უპატრონოთ „ფლოტს“. ვიღაცამ სთქვა „ბათუმში არის „ადმირალი“ ჭავჭავაძე. დაუძახოთ, ის გვეტყვის, და, შეიძლება ჩაიბაროს კიდეც“-აო.

ალბად იმავე სასტუმროში აღმოჩნდა, რადგან ხუთი წუთიც არ გასულა, მხედრული ბაკუნით შემოვიდა დაბალი ტანის შავ-შავი კაცი, საზღვაო გარსით (ფორმაში) გამოწყობილი, რამდენიმე ჯვრით და ოქროს ბუზმენტებით. პირველად ვხედავდი, მაგრამ ნამდვილ „ზღვის მგელს“ მოგაგონებდათ. მხედრულად გამოგვეჭიმა, საფეთქელზე ხელი მიიდო და მოგვმართა: „რას მიბრძანებთ“-ო?

გიზო ანჯაფარიძემ აუხსნა მდგომარეობა: ჩავიგდეთ ხელში ერთი ჯავშნოსანი და ორი გამანადგურებელი; ოფიცრები ჩვენ მხარეზე არიან, მაგრამ 250 მატროსი დაჭერილია, აღარავინა გვყავს და როგორ მოვიქცეთ, „ფლოტი“ ვის უნდა ჩავაბაროთ? თქვენ ხომ არ იკისრებთ?“-ო.

ჭავჭავაძემ, ისეთივე მხედრული სალამით და კილოთი დაიწყო: „ბატონებო, მე ვიცნობ მაგ ხალხს, ეგენი მეზღვაურებად აღარ ვარგანან, არც სანდონი არიან, ოციოდე მატროსი, ნამდვილი კაცისმკვლელნი, ყაჩაღები და მცარცველნი – უნდა გავასამართლოთ და დავხვრიტოთ; სამოციოდე, – ნაკლები დამნაშავენი – ციხეში უნდა დავტოვოთ, დანარჩენნი, უბრალონი არიან, უნდა ჩავსხათ ფულუგებში და რუსეთში გავისტუმროთ; მეზღვაურებს ვიშოვით და ფლოტს ჯერჯერობით მე და გემზე დარჩენილი ოფიცრები გაუძღვებით“-ო.

არც კი გაათავებინა სიტყვა გიზო ანჯაფარიძემ, ყვირილით:

– რას ლაპარაკობთ, როგორ თუ დავხვრიტოთ?! ციხეში დავტოვოთ?! თქვენ ძველი დრო ხომ არ გგონიათ?! ეგენი ჩვენი ამხანაგები არიან და უნდა გავანთავისუფლოთ...

ამირბარ ჭავჭავაძემ არაფერი უპასუხა, ისევ მხედრულად „ჩესტი“ მოგვცა, გატრიალდა და წავიდა. დავრჩით უამირბაროდ.

მაშინ გიზომ – არ გაიცინოთ! – მიჰმართა სოსო გოგოლაშვილს:

– სოსო, შენ უნდა ჩაიბარო ფლოტი-ო.

– რას ამბობ, კაცო, ნავში ჯდომა არ ვიცი და ფლოტი როგორ უნდა ჩავიბარო?-ო.

სხდომა დაიშალა. მე წამოვედი და ვფიქრობდი: თურმე იმისთანა სოციალისტებიც არსებობენ, რომელნიც მორიდებულად სცნობენ, რომ... რამე „არ იციან“... იმათ ხომ ყველაფერი იციან და ყველაფერი შეუძლიათ და... ამირბარობა რა ისეთი ძნელი საქმეა?..

ჯერ კიდევ ბათუმში ვიყავი და ჩემი თვალით ვნახე, როგორი მხედრული რიგით დადიოდნენ გამოშვებული „ამხანაგები“ – რუსის კრიმინალი მატროსები და დედას იგინებოდნენ, მუშტების მოღერებით: „დაგვაცათ, გაჩვენებთ სეირსა“-ო. და უჩვენებიათ კიდევაც: რამდენიმე დღის შემდეგ იმავე გემზე დასხმულებს, ცოტა ხნის შემდეგ აეძულებინათ თავიანთი ოფიცრები და ძალდატანებით რუსეთში წაეყვანათ ჩვენი (?) ფლოტი; რაც უკვე თბილისში გავიგეთ. აი, როგორ შევიძინეთ და დავკარგეთ ფლოტი“.

ეს გახლავთ ის ამბავი, რომელიც, როგორც ზემოთაც აღვნიშნე, „ჰაკი აძბას“ მხატვრული ქსოვილისათვის მასალად გამოიყენა მწერალმა.

რა ირკვევა რევაზ გაბაშვილის მოგონების მიხედვით?

1) გემის „კაროლ – კარლ“ გაბოლშევიკებული მეზღვაურები სისხლმოწყურებულ ბანდად ქცეულან. შეურაცხყოფას აყენებენ ოფიცრებს და გემზე მოხვედრილ რიგით ჯარისკაცებს, ეძებენ საბაბს, რათა ყველანი ერთიანად ამოხოცონ. გემის ონკანის ორთქლში მოხარშვით მოუკლავთ კიდეც ვინმე ემუხვარი.

2) გემი „კაროლ – კარლ“ თავისი გაბოლშევიკებული „მატროსებიანად“ ხელთ იგდეს ქართველებმა ოფიცერ დავით მიქელაძის მოხერხებულობითა და ვაჟკაცობის წყალობით, „მატროსები“ კი დაატყვევეს.

3) ქართველ ხელისუფალთა, სოციალ-დემოკრატთა იდეური „სიმტკიცის“ ანუ სიბეცის გამო, საქართველომ დაჰკარგა ბედის ნაწყალობევი ჯავშნოსანი. სოციალ-დემოკრატებმა თავისი კლასობრივი თეორიის საწყაოთი ბოლშევიკ მეზღვაურთა ბანდის წევრები ამხანაგებად მიიჩნიეს. საპატიმროდან გაათავისუფლეს და ჯავშნოსანიც „აორთქლდა“ თავის ეკიპაჟიანად...

ყველაფრიდან ჩანს ორი რამ, – ქართველ ხელისუფალთა თავმოუბმელობა და გაბოლშევიკებულ მეზღვაურთა ავკაცობა.

ამ მოგონებას რევაზ გაბაშვილი ემიგრაციაში წერდა. მას ცენზორის შიში არ ჰქონდა და, ცხადია, როგორც თვითმხილველი, ყოველივეს აღწერს ისე, როგორც სინამდვილეში მოხდა.

ლეო ქიაჩელი კი ამ მხრივ არ იყო თავისუფალი. მან „ჰაკი აძბა“ დაწერა 1933 წელს. ამ დროისათვის კი, ბოლშევიკების უკვე მომძლავრებული დიქტატურის პერიოდში, მწერალს ევალებოდა ბოლშევიზმი გმირული შარავანდედით შეემოსა.

ლეო ქიაჩელი, მართალია, ამ გზას არ დაადგა, მაგრამ იგი ვერც იმას დაწერდა, თუ როგორ დამსახურებულად დაატყვევეს გემის გათავხედებული მატროსები.

იმ დროისათვის ამ თემაზე პატიოსნად წერა ბეწვის ხიდზე გასვლას ნიშნავდა.

მწერალმა სწორედ ეს გზა განგლო.

ამასთან, იგი მოვლენათა აღწერისას, ოსტატურად ახერხებს საკუთარი პოზიციის შენიღბვას. სწორედ ამან გამოიწვია ის ფაქტი, რომ „ჰაკი აძბაში“ ლიტერატურისმცოდნეთა დიდმა ნაწილმა ბოლშევიზმის აპოლოგია დაინახა. მეორეს მხრივ კი, სრულიად საწინააღმდეგო დასკვნები შემოგვთავაზეს იპოლიტე ვართაგავამ და აკაკი ბაქრაძემ.

ფლობერი ერთგან წერს: მწერალი ისე უნდა იყოს თავის ნაწარმოებში, როგორც ღმერთი საზოგადოებაში. ყველგან უნდა იგრძნობოდეს და არსად არ სჩანდესო.

იგივე შეიძლება ვთქვათ „ჰაკი აძბას“ მიხედვით ლეო ქიაჩელის პოზიციასთან დაკავშირებით. მწერლის ტენდენცია ნაწარმოებში არსად არ სჩანს, თუმცა დაკვირვებული თვალისათვის ყველგან, ყოველ დეტალში იგრძნობა...

ყურადღებას იქცევს ის ფაქტი, რომ

გაგრძელება მე-6 გვ.

ლეო ქიაჩელი „ჰაკი აძბა“

(განხილვა)

ნოდარ გრიგალაშვილი

მეხუთე გვერდიდან

გემს „კაროლ-კარლ“ მწერალმა სახელი გამოუცვალა და რევოლუციონერთა ლეგენდარული გმირის „შმიდტის“ სახელით მონათლა.

(რევოლუციონერთა მხარეზე გადასული ოფიცერი შმიდტი, რომელიც სევასტოპოლში დახვრიტეს, ჩვენ უკვე მოვიხსენიეთ „საუბრების“ შესავალ ნაწილში).

ნაწარმოების სქემატური სიუჟეტი ასეთია: ქალაქ სოხუმში თებერვლის 27-ს დილაადრიან, მოულოდნელად, ხმა გავრდა: ბოლშევიკების კრეისერი „შმიდტი“ ქალაქის ნავსადგურში შემოსვლას აპირებსო.

წითელ კრეისერს მეთაურად „მრისხანედ“ წოდებული ბოცმანი კუზმა კილგა ახლავსო.

მთელი ქალაქი უმალვე გამოიცვალა. ჯელა დაზაფრული და შეშინებული ელოდა ბოლშევიკების გემის გამოჩენას.

გადაწყდა, ბოლშევიკებს მოფრულად დახვედროდნენ, რათა ქალაქი ეხსნათ მოსალოდნელი საშიშროებისაგან. ასეც მოიქცნენ.

სოხუმში მოიწვიეს მეზღვაურები და საზეიმო შეხვედრა მოუწყეს, როგორც კლასობრივ ძმებს...

მაგრამ მოულოდნელად ქალაქს უბედურება დაატყდა თავს. სოხუმელმა თეთრგვარდიელმა ოფიცერმა უჯუშ ემხამ თავდაცვის დროს მოჰკლა „შმიდტის“ მეზღვაური ვასილ ხრიტანიუკი და კიდევ ერთი დაჭრა.

გაბოროტებულმა კუზმა მრისხანემ სოხუმელებს შემოუთვალა, თუ ერთ საათში მკვლელს არ ჩამაბარებთ, კრეისერის ეკიპაჟი ისე მოიქცევა, როგორც ამას საჭიროდ ჩავთვლითო.

დამფრთხალი მოქალაქენი ქუჩებს მოედვნენ, რათა მეზღვაურის მკვლელი შეეპყროთ, გემის კაპიტნისათვის მიეგვარათ და ამით თავი გადაერჩინათ.

აიფანეს მძევლები, რის შემდეგაც უჯუშ ემხა იძულებული გახდა, ნებით ჩაბარებოდა.

უჯუშის ძიძიშვილმა ჰაკი აძბამ გადაწყვიტა დანაშაული საკუთარ თავზე აეღო, თავი გაეწირა და ეხსნა უჯუში.

კუზმა მრისხანეს თეთრგვარდიელი ოფიცერი და მისი ძიძიშვილი ჰაკი აძბა ერთად მიჰგვარეს.

გემის კაპიტანმა გაარკვია, თუ ვინ იყო ნამდვილი მკვლელი. უჯუშ ემხასათვის ჰაკის თავგანწირვა მიიჩნია გლეხის მონური ფსიქიკის გამოვლინებად და შეეცადა თავადის ერთგული ყმისთვის თვალები აეხილა, მასში კლასობრივი შეგნება გაეღვიძებინა... თავის მხრივ კი, ჰაკი აძბას ერთადერთი მიზანი აქვს, – როგორმე იხსნას თანამოქალაქეთა და მეზღვაურთა მიერ სასიკვდილოდ განწირული უჯუშ ემხა.

ამიტომ მორჩილად ისმენს კუზმა მრისხანეს „გაკვეთილებს“ და განსაკუთრებული გულმოდგინებით ეპირფერება მას.

უშედეგო აღმოჩნდა როგორ ბოლშევიკ კუზმას „გაკვეთილები“, ისე ჰაკი აძბას მცდელობა, გადაერჩინა უჯუშ ემხა დახვრეტისაგან.

არც კუზმა მრისხანეს მოულბა გული და ვერც ჰაკი აძბამ გაიგო ამ ხალხის „კლასობრივი თეორია“...

თავადი უჯუშ ემხა დახვრიტეს, რის შემდეგაც მისი ძიძიშვილი ჰაკი აძბა ზღვის აქაფებულ ტალღებში გადაეშვა.

„სულ ერთია, ეს მონა ადამიანად მაინც არ გამოდგებოდა“... ასეთი დასკვნა გააკეთა ბოლშევიკმა – კუზმა მრისხანემ. ამით მთავრდება ნაწარმოები.

როგორც ვხედავთ, მზა მასალიდან, ცხოვრებისეული სინამდვილიდან მწერალმა აიღო არა თვით ამბავი, არამედ არსი რეალურად მომხდარი ფაქტისა.

როგორ უნდა გავიგოთ ეს?

როგორც ბოლშევიკების, ისე მენშევიკების მიერ, ადამიანები დახარისხებულნი არიან კლასობრივი თეორიის მიხედვით, ეს კარგად ჩანს როგორც ნაწარმოებში, ისე მის პირველწყაროში.

იმავდროულად, კლასობრივი ინტერესებით ბოლშევიკები ოსტატურად ნიღბავენ მძარცველურსა და დამპყრობლურ ჟინს, ხოლო მენშევიკები კლასობრივ ძმობას უცხადებენ მომხდურს, სინამდვილეში ამ „ძმობაში“ მონური მორჩილება იგულისხმება.

ბოლშევიკებმა მოჰკლეს ვინმე ემუხვარი, ნაწარმოების მიხედვით თავადი უჯუშ ემხა, როგორც კლასობრივი მტერი. მენშევიკებმა, თავის მხრივ, ასევე გასწირეს უჯუში, როცა იგი თავის ბოლშევიკ „ძმებს“ გადასცეს. თუმცა ამ „ძმური“ თანადგომის აქტში, მათი სისუსტე და უსუსურობაა სინამდვილეში ნაგულისხმევი.

როდესაც კუზმა მრისხანე თავისი მეზღვაურის სიკვდილს შეიტყობს, მას „დაავიწყდება“ სოხუმში მუშები და გლეხები რომ ცხოვრობენ და მთელს ქალაქს დაემუქრება. აქედან ჩანს, რომ მისთვის კლასობრივი ძმობის თეორია თვითმიზანი კი არ არის, არამედ, სწორედაც, ნიღაბია დაპყრობისათვის, ძარცვისათვის, ასევე სურათი ჩანს მოთხრობის პირველწყაროში. „კაროლ – კარლის“ გაბოლშევიკებული მეზღვაურები შეურაცხყოფენ არა მხოლოდ გემის ოფიცრებს, არამედ მათსავით რიგით ჯარისკაცებსაც. მზად არიან ჯელას ერთიანად გაუსწორონ ანგარიში.

ასე რომ, არსი, საერთო პათოსი რეალური და მხატვრული სინამდვილისა თანხვდენილია, მწერალი მხოლოდ სიუჟეტს ცვლის, მაგრამ, იმავდროულად, „ჰაკი აძბაში“ ისეთი მხატვრული გამონაგონიც, ისეთი სიტუაციაც შეაქვს მწერალს, რომელიც მხოლოდ მისი ფანტაზიის ნაყოფია და სწორედ ამ გამონაგონით სრულიად ახლებური კუთხით ნათდება თხზულების მიზანდასახულობა. ვგულისხმობ ჰაკი აძბასადმი გემის მრისხანე კაპიტნის კუზმა კილგას დამოკიდებულების ჩვენებას.

ნაწარმოების ფინალში მთელი სიმძაფრითაა წარმოჩენილი ორი განსხვავებული ტიპი, ორი ურთიერთგამომრიცხავი ხასიათი.

კუზმა მრისხანესა და ჰაკი აძბას სულიერი რაობის შეპირისპირების ფონზე, თვალნათლივაა დასურათხატებული მრწამსი – ადამიანებს ვერას არგებთ კლასობრივი ერთობა, როცა განსხვავებული ზნისა და ხასიათის, განსხვავებული გენისა და ჯიშის, განსხვავებული ადათებისა და ტრადიციების მატარებელნი არიან.

ამ საკითხის შემოტანა ნაწარმოებში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია და მწერლისაგან დიდ გაბედულებასაც ითხოვს, და, აი, რატომ: ჯერ კიდევ მე-18 საუკუნის ბოლოს, როდესაც რუსეთმა საქართველოს დაპყრობა გადაწყვიტა, ამოეფარა „რჯულის ერთობის“ ნიღაბს.

რუსეთიც და საქართველოც ქრისტიანული სახელმწიფოებია, ქრისტიანი კი ქრისტიანის ძმაა. ძმობის ამ მაღლა აწეული დროშით მოდის დიდი რუსეთი პატარა საქართველოს დასაპყრობად.

ბევრმა ვერ იგრძნო მაშინ, რომ ქრისტიანული რელიგია, რელიგია მართლა ძმობისა და კაცთმოყვარეობისა, ცარიზმის მიერ, ისე როგორც თავის დროზე ეს ბიზანტიელებმა გააკეთეს, მომხდურთა ხელში დამპყრობლურ იდეოლოგიად იქცა.

ეს გაცნობიერებული აქვს ახალგაზრდა ნიკოლოზ ბარათაშვილს და პოემაში „ბედი ქართლისა“ იგი სოლომონ ლიონიძეს ათქმევინებს:

„სახელმწიფოსა ერთობა სჯულის
არარას არგებს, ოდეს მათ შორის
თვისება ერთა სხვადასხვაობდეს“.

1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ იმპერიისაგან ჩამოცილებულ საქართველოს რუსეთი ხელმეორედ უპირებდა დაპყრობას. იმ დროისათვის ქრისტიანული რელიგიის თავიანთ სამსახურში ჩაყენება აღარ ეგებოდა, რადგან მენშევიკებიცა და ბოლშევიკებიც რელიგიას საერთოდ უარყოფდნენ. ამიტომ საჭირო გახდა ახალი დამპყრობლური იდეოლოგიის ფარზე ამოდება. ასეთად კი უკვე საშუალებას წარმოადგენდა კლასობრივი თეორია, რომლის მიხედვითაც ჰაკი აძბა, როგორც გლეხთა კლასის წარმომადგენელი, უყოყმანოდ უნდა დამდგარიყო რუსი ბოლშევიკების, როგორც „ნამდვილი ძმების“ მხარეს და გაეწირა საკუთარი ძუძუმტე უჯუშ ემხა, როგორც თავადი, და „ექსპლუატატორთა კასტის“ სისხლი სისხლთაგანი.

ის, რაც ბუნებრივი და ადამიანურია იდეოლოგიურად „მომზადებული“ კუზმა რუსისათვის, არაბუნებრივი და არაადამიანურია „ჩამორჩენილი“ და იდეოლოგიურად მოუმზადებელი ჰაკისათვის.

მწერალი არ გამოჰკვეთს საკუთარ პოზიციას, თუ ვის მხარეზეა იგი, მაგრამ თხზულების წაკითხვის შემდეგ მკითხველი ერთადერთი რწმენით დახურავს წიგნს.

ამქვეყნად ყოველგვარ იდეოლოგიაზე, ყოველგვარ თეორიაზე მაღლა ძმობის სიწმინდე დგას. რომ სახელმწიფოს კლასობრივი ერთობის ყბადაღებული თეორია „არარას არგებს, ოდეს მის შორის თვისება ერთა სხვადასხვაობდეს“.

აი, ამ დასკვნის გამოტანა შეიძლება „ჰაკი აძბადან“, რასაც მწერალი იმ დროისათვის პირდაპირ და გამოკვეთილად ვერ იტყოდა, რის გამოც მას მხატვრული ამოცანის გადასაწყვეტად უფრო დიდი ძალისხმევა დასჭირდა.

კაცმა რომ თქვას, ამით ნაწარმოებმა მოიგო კიდეც. ზოგი ჭირი მარგებელია – უთქვამთ. რიგ შემთხვევაში იდეოლოგიური დაწოლა მწერლებს მეტაფორული აზროვნების სიღრმისაკენ უბიძგებდა.

ე.წ. „სოციალისტური რეალიზმის“ ეპოქაში მხოლოდ ჰაკი აძბა რომ დაწერილიყო, ამ ნაწარმოების მიხედვითაც შეგვეძლო დაგვესკვნა, რომ გამორჩეული ნიჭის მქონე მწერალს მაშინაც შეუძლია თქვას სათქმელი, თავისი ნების შესაბამისად, როცა თავისუფლად აზროვნების უფლება არა აქვს, როდესაც შემოქმედს დამოკლეს მახვილივით ცხვირწინ აქვს ჩამოკიდებული ხელისუფალთა დადგენილებები და დეკლარაციები.

ყოველივე ამას იმიტომ მოგახსენებთ, რომ ხშირად მწერლის სიყალბეს სიტუაციის კარნახითა და იძულებით ხსნიან.

რა თქმა უნდა, ინკვიზიციის ეპოქაში, თუნდაც უნიჭიერესი მწერლები, იძულებულნი იყვნენ ხარკი გაეღოთ და გაავებული ძაღლისთვის ლუკმა მიეგდოთ, მაგრამ მწერლობა იმით არის მძლავრი იარაღი უზნეობის წინააღმდეგ საბრძოლველად, რომ, აზროვნების მეტაფორული ხერხით, ჭეშმარიტი მწერალი მაინც ახერხებს იმის თქმას და ასახვას, რასაც ჩვეულებრივ შემთხვევაში საჯაროდ ვერ გააცხადებდა.

ახლა კი თანმიმდევრულად განვიხილოთ „ჰაკი აძბას“ მხატვრული სამყარო.

გაგრძელება იქნება

● ბულგარული ლეგენდა

რაზომ სჯიან ადამიანს?

ერთმა კაცმა უთხრა მეფეს:

– მე ვიცი სიმართლე შენზე.

– რომელი სიმართლე? – ჰკითხა მეფემ.

– შენ შიშველი ხარ ხალხის თვალში. – უპასუხა კაცმა.

– ვინ გითხრა შენ ეს? – დაინტერესდა მბრძანებელი.

– სიმართლემ მითხრა ეს.

მეფემ ბრძანა, მოეყვანათ სიმართლე.

– ეს კაცი ამტკიცებს, რომ მე შიშველი ვარ ხალხის თვალში, – უთხრა მეფემ, – კეთილი ინებე, მოგვახსენე, ეს ასეა?

– ასეა. – უპასუხა სიმართლემ.

– შემხედე მე კარგად და დაიმახსოვრე, რა მაცვია. დილით მე გადავიცვამ სხვას.

– შენ როგორადაც არ უნდა გადაიცვა, მაინც შიშველი ხარ ხალხის თვალში. – უთხრა სიმართლემ.

– ესე იგი, შენ ასწავლე ამ კაცს ეს სიტყვები?

– მე! – გამოუტყდა სიმართლე.

– მეფის ცილისწამებისათვის გისჯი სიკვდილს!

გაბრაზდა მბრძანებელი და უბრძანა ჯალათს, სიმართლეს თავი მოკვეთეო.

შეიპყრეს სიმართლე და დასვეს საჯალათო კუნძზე. ჯალათმა აღმართა ნაჯახი, მოიქნია, ხის კუნძი ორად გაიპო, მაგრამ სიმართლე უვნებელი დარჩა.

– მე ვსჯი ჯალათებს და მეფეებს, – თქვა სიმართლემ, – შენი რიგიც მოვა, მოემზადე!

– მაგრამ პირველად მე შენ გაგგზავნი საიქიოში, – დაიყვირა მეფემ, – კოცონზე!

მიაბეს სიმართლე ბოძზე, მაგრამ როცა შეშა დაიწვა, სიმართლე უვნებელი დარჩა.

– ცეცხლშიც არ იწვის! – აღტაცებული ამბობდა ხალხი.

და ირწმუნეს სიმართლის უკვდავება.

მაშინ მეფემ ბრძანა, თავი მოეკვეთათ იმ კაცისათვის, რომელმაც პირველად უთხრა მას სიმართლე.

ჯალათმა იმ კაცს მოკვეთა თავი.

ამიტომ, როცა არ შეუძლიათ, მოსპონ სიმართლე, სპობენ იმ ადამიანს, რომელმაც სიმართლე თქვა.

ეს ცნობილია დღესაც.

თარგმნა
ალექსი ბოლქვაძემ

ეჭვდებიან ტერიტორიის „გაჩუქებით“ დაინტერესება

უკანასკნელ წლებში პრესაში გამოქვეყნდა არაერთი საინტერესო სტატია, მასალა თუ დოკუმენტი, რომლებიც მოგვითხრობენ საქართველოს მთლიანი სხეულის დაჩეხვასა და ჩვენი ტერიტორიის „გაჩუქებაში“ გამოელენილ მეტისმეტ გულუხვობაზე. დამახასიათებელია, რომ საქართველოს ტერიტორიის გადანაწილებას შეუდგნენ გასაბჭოებისთანავე. კერძოდ, თურქეთს 1921 წელს მისცეს ყოფილი ბათუმის ოლქის სამხრეთი ნაწილი – მაჭახელა, ბორჩხა, მაკრიალი – 936,15 კვკმ ფართობით, ართვინის ოლქი 3388,82 კვკმ აგრეთვე არდაგანის ოლქი – 5644,74 კვკმ ფართობით. ოსმალების მიერ ახალ „შეძენილ“ ტერიტორიაზე ცხოვრობდა 158729 კაცი. აზერბაიჯანს „გადაულოცეს“ ზაქათალას ოლქი, გარეჯის ველი და თბილისის მაზრის ქვემო ყარაიაზის სექტორი, სიღნაღის რაიონის ნაწილი – ელდარი, 5199,47 კვკმ საერთო ტერიტორიითა და 92600 მოსახლით. სომხეთს „უბოძეს“ ბორჩალოს მაზრის სამხრეთ ნაწილის ეორონ-ცოე-ლორეს რაიონი მისი ფერდობით, 2575,38 კვკმ ფართობითა და 37800 მცხოვრებით (ლ.თოიძე, „ეს ჩვენი ბრალი კი არა, უბედურებაა“, „კომუნისტი“, 1990 წ. 7 ოქტომბერი).

გულხელდაკრეფილი არც საბჭოთა რუსეთი დარჩენილა. მან აფხაზეთში „მიიზომა“ გაგრის ოლქის დასავლეთის ნახევარი ციეი წყლიდან მდინარე ფსოუმდე (აილენკოვო) 268,15 კვკმ ფართობითა და 1600 მოსახლით. ამით საბჭოთა რუსეთმა ფაქტიურად ხელყო 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულება. ეს იყო ორ ქვეყანას შორის დადებული ხელშეკრულების პირველი დარღვევა, რომელიც მალე საქართველოს ანექსიით დაგვირგვინდა.

ზემოთმითითებული ტერიტორიები საქართველოს ჩამოერთვა 1921–1927 წლებში. საერთო ჯამში ამ პერიოდში საბჭოთა ხელისუფლებამ „გააჩუქა“ საქართველოს 19491 კვკმ ტერიტორია, რაც ჩვენი რესპუბლიკის მთელი ტერიტორიის 20 პროცენტს ჭარბობდა. ბუნებრივია, რომ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დარღვევას ქართველი ხალხი ვერ შეურიგდებოდა. საზღვრების „დადგენაში“ გაუგონარი თვითნებობა დაყოვნებითად მოქმედების ბომბის როლს ასრულებს დღესაც.

შემთხვევითი როდი იყო, რომ საბჭოთა ქვეყანაში მომდევნო პერიოდებშიც დაკანონდა ტერიტორიების თვითნებური გაჩუქება-დათმობა. საბჭოთა ხელისუფლება ასეთ სასიცოცხლო საკითხების გადაწყვეტისას, როგორც წესი, მნიშვნელობას ანიჭებდა სიმპატიებსა თუ ანტიპატიებს. არაერთ სერიოზულად არ სწავლობდა ხალხების ისტორიულ საზღვრებს, მათ ტერიტორიებს, განსახლებისა და მიგრაციის პროცესებს. რესპუბლიკის ტერიტორიები შეიძლება გადაეცათ უცხო ქვეყნისათვის, ან მოკავშირე რესპუბლიკებისათვის, პოლიტიკური და სამეურნეო ან ნებისმიერი მოსაზრებებით. აბსოლუტურად ვერ ითვალისწინებდნენ, თუ მომავალში რა შედეგები მოყვებოდა ამას. როგორ დაძაბავდა ერთაშორის ურთიერთობას. გაამწვავებდა კონფლიქტებს, ერთმანეთს დაუპირისპირებდა ხალხებს, სახელმწიფოებს. ასეთი პოლიტიკის შედეგებს დღეს ვიმკით.

ეოლუნტარიზმის პირობებში გამძვინვარებული ხრუშჩოვი, ქართველებს სამშობლოდან გადასახლებითაც კი დაემუქრა. ასეთი მოღვაწეები და მათი „თანამებრძოლები“ საზღვრებისა თუ ტერიტორიების პრობლემებს განა სამართლიანად გადაწყვეტდნენ?

ახლა უკვე ცნობილია, რომ საბჭოთა ხელისუფლება განსაკუთრებულ გულუხვობას იჩენდა საქართველოს ტერიტორიების მიმართ ოციან წლებში. ასეთი მოქმედებით ყველაზე მეტად თავი ისახელა ლენინმა. საქართველოს ანექსიის შემდეგ საბჭოთა რუსეთმა სინდისის ქვეჯნის გარეშე ჩვენი რესპუბლიკის უზარმაზარი ტერიტორია თურქეთს „დაუთმო“. საბჭოთა ქვეყანაში პირველად ასე ჩაეყარა საფუძველი ორი სახელმწიფოს (საბჭოთა რუსეთი და თურქეთი) საიდუმლო გარიგებას, მესამე სახელმწიფოს (საქართველო) ტერიტორიის ხარჯზე. ამ „გამოცდილებამ“ ფართო ასახვა ჰპოვა 1939 წელს „მოლოტოვ-რიბენტროპის“ საიდუმლო პაქტში. არც ის შეიძლება შემთხვევითად ჩაითვალოს, რომ მე-11 არმიის თბილისთან მოახლოების დროს (22 თებერვალი) საქართველოს საზღვარი გადალახა თურქეთის არმიამ და დაიწყო ართვინ-არდაგანის ოკუპაცია, რომელიც სამიოდე კვირაში დაიპყრო კიდეც. მის ხელში აღმოჩნდა ბათუმიც. დამახასიათებელია ისიც, რომ სწორედ ამ დროს თურქეთის არმიის მთავარსარდალი საქართველოს დაპყრობაში მოპოვებულ დიდ წარმატებას ულოცავს მე-11 არმიის სარდალს. ამას მოჰყვა 1921 წლის 16 მარტს მოსკოვში მეგობრობისა და ძმობის ხელშეკრულების გაფორმება. საბჭოთა რუსეთმა თურქეთს „უფეშქაშა“ 13046 კვ კილომეტრის ქართული ტერიტორია თავისი მოსახლეობით. ამ უკანასკნელმა „ჰუმანურობა გამოიჩინა“ და ხელშეკრულების მეორე მუხლში ციხიკურად დააფიქსირა, რომ იგი თანხმდება საქართველოს დაუთმოს სუვერენიტეტი ქალაქ ბათუმსა და მის ნავსადგურზე. შ.ნათელაშვილის სამართლიანი შენიშვნით, ამავე მუხლმა სამართლებრივად განსაზღვრა აჭარის ავტონომიის შექმნის საფუძველი („სახალხო განათლება“, 1990 წ. 23 აგვისტო).

„უფრო გვიან – 1945 წლის აგვისტოში სსრკ-ის საგარეო საქმეთა მინისტრმა ვმოლოტოვმა ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრს ა.იდენს განუცხადა, რომ თურქეთმა 1921 წელს ძალით მიიტაცა ტერიტორიები. მას მხედველობაში ჰქონდა არდაგანის რაიონი და ყარსი (ეს უკანასკნელი სომხეთს ეკუთვნოდა).

ახლა უკვე ცნობილია, რომ პოსტდამში (1945 წ. აგვისტო) ისტალინს არაორაზროვნად განუცხადებია თურქეთის მიერ ამ ტერიტორიების მიტაცების უკანონობის შესახებ. ისიც დაუმატებია, რომ საზღვრების შეცვლის გარეშე თურქეთს უფლება არ ექნება ხელი მოაწეროს სამოკავშირეო ხელშეკრულებასო. საზღვრები თუმცა არაის არ შეუცვლია, მაგრამ ტერიტორიული პრეტენზიები თურქების მიმართ რჩებოდა. ეს „უხერხულობა“ რომ მოეხსნათ, 1953 წლის 30 მაისს, ხრუშჩოვის ინიციატივით, საბჭოთა მთავრობამ განაცხადა, რომ თურქეთის მიმართ ტერიტორიული პრეტენზიები არ აქვს. პარადოქსულია ისიც, რომ ცენტრის დაწოლით ასეთი განცხადება გააკეთა საქართველოს სსრ მთავრობამაც. ასე დაუსვეს წერტილი საქართველოს ტერიტორიულ პრეტენზიებს თურქეთის მიმართ. ამ შემთხვევაშიც არავითარი ყურადღება არ მიუქცევიათ რუსეთ-საქართველოს 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულებისათვის, რომლის მიხედვით ართვინ-არდაგანის ოლქი საქართველოს განუყოფელ ნაწილად არის მიჩნეული. პარადოქსია, მაგრამ ფაქტია ისიც, რომ თურქეთის მიერ მიტაცებულ ტერიტორიებზე უარის თქმა „დასაბუთდა“ მასთან მშვიდობისა და კეთილმეზობლური ურთიერთობის შენარჩუნების სურვილით. ეს იყო რუსეთის მიერ საქართველოზე თავისებური შურისძიება და ღვარძლის გადმონთხევა. კელავ მერამდენედ შეილახა ჩვენი ქვეყნის ინტერესები?

აღსანიშნავია, რომ გამოქვეყნებულ მასალებში საზღვრების შეცვლისა და ტერიტორიის „გაჩუქების“ ყველა გარემოება ცნობილი როდია. არქივში ჩვენს მიერ მოძიებული დოკუმენტები, აგრეთვე სხვა მასალები ნათელს ფენენ ზოგიერთ უცნობ ფაქტებსა და მოვლენებს, აშკარა უკანონობისა და თვითნებობის დამკვიდრების მოტივებს პირველ რიგში, მხედველობაში გვაქვს საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო არქივის მოწათმოქმედების კომისარიატის ფონდში დაცული ამერკავკასიის საზღვრების რეგულირების კონფერენციის დადგენილების ასლი, რომელსაც 1921 წლის 5 ივლისს ხელს აწერენ საქართველოსა და აზერბაიჯანის რევკომების თავმჯდომარეები ფ.მახარაძე და ნ.ნარიმანოვი. ეს თარიღი შეიძლება ჩაითვალოს ზაქათალას „გაჩუქების“ თარიღად. მართლაც, კონფერენციის დადგენილებაში ვკითხულობთ: „საქართველო უარს ამბობს ყოველგვარ პრეტენზიაზე ზაქათალას ოლქის მიმართ სახელმწიფო საზღვრებში, რის შესახებაც საქართველოს რევკომი გამოსცემს სათანადო დეკლარაციას.

ორთავე მხარის გლეხობას უფლება ეძლეოთ შეუზღუდავად ისარგებლონ საძოვრებით (ფ.288. აღწ. 1.ს122, ფურც. 63). ფორმალურად კონფერენციის დადგენილებას საზღვრების გადასინჯვის იურიდიული ძალა არ აქვს, მაგრამ მაშინ დამკვიდრებული წესებით, ასეთ „წვრილმანებსა“ და „უხერხულობას“ ამერკავკასიის ფედერაციის თავეკაცები ანგარიშს არ უწევდნენ და ზაქათალა ფაქტიურად აზერბაიჯანს დაუმკვიდრეს. რა თქმა უნდა, ეს იმას როდი ნიშნავდა, რომ „მხარეები“ მომავალში უარს იტყოდნენ მიღებული დადგენილებისათვის „კანონის“ ძალა მიეცათ. ასეც მოხდა, რამდენიმე თვის შემდეგ – 1921 წლის 16 ნოემბერს საქართველოსა და აზერბაიჯანის სოციალისტური რესპუბლიკების აღმასრულებელი კომიტეტების თავმჯდომარეებმა ხელი მოაწერეს შეთანხმებას საზღვრების შესახებ და უხერხულობაც „დაძლეულ იქნა“ (იქვე, ფურც. 59, 66).

საბჭოთა რუსეთის ინიციატივით თვითნებურად ტერიტორიის ერთი რესპუბლიკიდან მეორესათვის გადაცემა საკითხს საბოლოოდ ვერ წყვეტდა. პირიქით, ერებს აღიზიანებდა, მათ შორის კონფლიქტებს აღვივებდა, ქმნიდა წინააღმდეგობათა აფეთქების ნიადაგს. საზღვრების მოწესრიგებაზე გაიოლებულ წარმოდგენას.

პრობლემაზე გაიოლებული წარმოდგენის ნიმუშად შეიძლება დავასახელოთ ორჯონიკიძის საუბარი ზაქათალის აღმასკომის თავმჯდომარესთან: „...ზაქათალის ოლქის გლეხები, – ამბობდა თავმჯდომარე, – გადადიან სიღნაღის მაზრის საზღვრებზე, ხნავენ მიწას სადღაც იქ, მაზრის სიღრმეში. ისინი ამ მიწას უხსოვარი დროიდან ხნავდნენ და იქ პირუტყვს აძოვებენ, და სიღნაღის გლეხებს, მიუხედავად იმისა, რომ ისინი საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქენი არიან... აზრადაც კი არ მოსდით, რომ ნება არ მიცენ აზერბაიჯანელ გლეხებს მოხნან მიწა საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე“ (გ.კ.ორჯონიკიძე, სტატიები და სიტყვები, ტ1, თბ., 1957, გვ328).

კოტე ტოტოჩავა,
ისტორიის მეცნიერებათა
დოქტორი, პროფესორი,
კოლიტიკურ მეცნიერებათა
აკადემიის აკადემიკოსი

გაგრძელება იქნება

ქრონიკა

სხვების ხარჯზე გაშარეშოებული შეიძლება

საგარეო საქმეთა სამინისტროს კორესპონდენტის ცნობით, იმ დროს, როდესაც ფინანსთა სამინისტრო საბიუჯეტო ორგანიზაციებში შტატების შემცირებას მოითხოვს, საკუთარ უწყებაში 300 ერთეულით ცდილობს მის გაზრდას. (იფრინდა)

კონფერენცია თემაზე «მართლმადიდებელი საზოგადოებრიობა და სულიერად დაახლოებულ ხალხთა ცხოვრების ეკოლოგიის პრობლემები»

19 იანვარს კრწანისის სამთავრობო რეზიდენციაში გაიხსნა საერთაშორისო კონფერენცია თემაზე „მართლმადიდებელი საზოგადოებრიობა და სულიერად დაახლოებულ ხალხთა ცხოვრების ეკოლოგიის პრობლემები“. კონფერენციაზე მისასალმებელი სიტყვა წარმოთქვა პარლამენტის თავმჯდომარემ ზ.ჟვანიამ და საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ.

კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობენ დსთ-ს, ბალტიისპირეთის და მსოფლიოს სხვა ქვეყნების მართლმადიდებელი ეკლესიების დელეგაციები. დღეს დელეგაციის წევრები შეხვდებიან სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქს, უწმიდესსა და უნეტარეს ილია მეორეს. დღესვე კრწანისის სამთავრობო რეზიდენციაში გაიმართება პრეს-კონფერენცია.

დელეგაციის წევრები 21 იანვარს გაემგზავრებიან საქართველოდან. (იფრინდა)

მაიკლ მეისის ვიზიტი საქართველოში

საქართველოს ერთკვირიანი ვიზიტით ეწვია კანადის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი მაიკლ მეისი. ვიზიტის დროს ელჩი შეხვდება პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილეს ე.შენგელაიას, ეკონომიკურ ურთიერთობათა მინისტრის მოადგილეს ნ.დუჩიძეს, საგარეო საქმეთა მინისტრს ი.მენაღარიშვილს. პრეზიდენტის რეზიდენციაში მ.მეისი რწმუნებათა სიგელებს გადასცემს საქართველოს პრეზიდენტს ე.შევარდნაძეს. 22 და 23 იანვარს სტუმარი შეხვდება თბილისში აკრედიტებულ უცხო ქვეყნების საელჩოთა წარმომადგენლებს. დაგეგმილია თბილისის ღირსშესანიშნაობათა დათვალიერება.

24 იანვარს მ.მეისი სტამბულს გაემგზავრება. (იფრინდა)

კრიმინალური ქრონიკა

შსს-ს პრეს-ცენტრის ცნობით, 17 იანვარს, 17 საათსა და 30 წუთზე, კრწანისის რაიონში, ფირმა „ექსტრა“-ს თანამშრომლის 1965 წელს დაბადებულ გარი მჟავიას ბინაში, 1963 წელს დაბადებულმა ზ.ხეცურიანმა ურთიერთშელაპარაკების დროს ააფეთქა ფ-1 ტიპის ხელყუმბარა, რის შედეგადაც ორივე ადგილზე გარდაიცვალა.

შსს-ს პრეს-ცენტრის ცნობით, გასული დღე-ღამის განმავლობაში ჩადენილი 16 დანაშაულიდან 14 გახსნილია. მოხდა 2 მკვლელობა – ორივე გახსნილია, 1 სხეულის დაზიანება – გახსნილია, 1 სახელმწიფო ქონების ქურდობა – გახსნილია, 7 პირადი ქონების ქურდობა – 6 გახსნილია, გამოვლენილია ნარკომანიის 2 ფაქტი, გახსნილია ხულიგნობის 1 ფაქტი და 1 ავტოსაგზაო შემთხვევა სიკვდილიანობით, დაკავებულია 5 ძებნილი.

ცხინვალის ხელისუფლების თავდაცვის მინისტრი თბილისში

თავდაცვის სამინისტროს პრეს-ცენტრის ცნობით, 17 იანვარს ეუთო-ს ინიციატივით თბილისში ჩამოვიდა ცხინვალის ხელისუფლების თავდაცვის მინისტრი დიმიტრი სანაკოევი. იგი მიიღო საქართველოს თავდაცვის მინისტრის მოადგილემ სახმელეთო ჯარების სარდალმა გენერალ მაიორმა გუჯარ ყურაშვილმა. შეხვედრას ესწრებოდნენ ეუთო-ს სამხედრო მისიის ხელმძღვანელი ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში, პოლონელი გენერალი რომან პარმოზა და ქართული სამშვიდობო ძალების სარდალი, პოლკოვნიკი რ.გურგენიძე.

გენერალ რომან პარმოზას განცხადებით, შეხვედრა არაოფიციალურ ხასიათს ატარებდა და მასზე რაიმე გადაწყვეტილება არ მიუღიათ. მისივე თქმით, შესაძლოა თებერვლის თვეში გაიმართოს შერეული საკონტროლო კომისიის სხდომა, რომელზეც გაანალიზდება სამშვიდობო პროცესის მიმდინარეობის საკითხები. (იფრინდა)

EXPRESS AUDIT service

აუდიტორული
საქმიანობის
შეზღუდული
პასუხისმგებლობის
საზოგადოება

ექსპრეს-აუდიტ სერვისი

გთავაზობთ შემდეგი სახის აუდიტორულ
მომსახურეობას ზოგად აუდიტში:

1. საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის აუდიტორული შემოწმება და შეფასება.
2. საკონსულტაციო მომსახურეობა და რეკომენდაციები.
3. ქონების შეფასება.
4. ბუღალტრული მომსახურება.

მისამართი: თბილისი, თავისუფლების მოედანი,
პუშკინის ქ. №5 II სართული. ტელ. 93-15-89

რუსთაველი, გიორგი სააკაძე, სტალინი, ნაპოლეონი, მიქელანჯელო და სხვანი და სხვანი, სომეხი მეცნიერის აზრით, სომხები ყოფილან...

„ქვათა ღაღადის“ გადასახედიდან დანახული

მესამე გვერდიდან

ნიერებათა განყოფილების ისტორიულ-ფილოლოგიურ ჟურნალში) და ასკვნის, რომ „ტიპიკონის“ ბერძნულ, ქართულ და სომხურ პირველწყაროებში შემონახული ცნობები გვიჩვენებენ: 1. ბაკურიანი სომეხი იყო, ქართული აღსარების მიმდევარი, ტაოელი. 2. პეტრიწონის მონასტერში იყვნენ სომეხი ქალკედონელები, იყო სომხური მღვდელმსახურება. 3. ტიპიკონის სამ ენაზე – ბერძნულსა, ქართულსა და სომხურზე დაწერის შესახებ ცნობა, დაცული ბერძნულ რედაქციაში, სწორია (გვ. 116. ესარგებლობთ **ელ.ცაგარეიშვილის** თარგმანით).

ბატონი პარუირ მ.ურადიანი „ერთგულეს მოწაფედ დარჩა იეზოვ-პატკანოვ-არწრუნებისა, ანგარიშმიუცემლად დროდადრო გამოჩხრიკავს თვით სომეხი ერისაევ შეურაცმყოფელ მონაჩმახს, უხერხულობაში აყენებს სომხური ისტორიის, სომხური ონომასტიკის წარმომადგენლებს, ადიზიანებს ქართველ საზოგადოებრიობას, იმდენ სიყალბეზე აწერს ხელს, რომ იძულებული ხარ, თუკი სადმე წამოსცდება, სიმართლეც არ დაუჯერო.

წლების წინათ, პ.მურადიანი როცა სადოქტორო დისერტაციას იცავდა, სომხებად აკურთხა არა მარტო ცნობილი ქართველი გამოჩენილი ადამიანები, არამედ რუსი და სხვა ხალხთა უგამოჩინებულესი შვილებიც. პარუირ მურადიანმა სომხებად გამოაცხადა: სტალინი, გიორგი სააკაძე, ბაგრატიონი, ბარკლაი დე ტოლი, ადმირალი კაზაროვი, მამინ-სიბირიაკი, ლაზარევი (რუსი ზღვაოსანი), ტალეირანი, შოთა რუსთაველი, სუვოროვი (სიპიანცის ვარიანტი), ადმირალი სერებრიაკოვი, გუდერიანი, მიურატი, რუსტამი, ისნესი (მარშლები), ნაპოლეონი, იუსტინიანე, პოპოვი (რუსი გენერალი, „ზარტონკის“ გამოკვლევით), პატრიარქი ფოტიოსი, რემბრანდტი, მიქელანჯელო, მარჯანიშვილი („დრამატურგ გრუზიი“ – ისიც არ იცის, რომ რეჟისორია), მარშალი როკოსოვსკი, გოეთე, ნემიროვიჩ-დანჩენკო, ჯუზეპე ვერდი, ვახტანგოვი (აქაც დრამატურგი), ორიეე სიმონოვი, მაია პლისეცკაია, იტალიელი მხატვარი რენატო გუტუზო, ანდრე შენიე, ლინჩი, ფრანგი მსახიობი ელეონორა დუზე, ელიზაბეტ ტეილორი, ბულატ ოკუჯავა, ალადინი (თურქი სულთანი), აგატონი, იოჰან სებასტიან ბახი, ვანო მურადელი, მოქანდაკე ფრანგი ტეოფინი, უნგრეთის მეფე სალამი, რუსი კონსტრუქტორი ტუპოლევი...

ბატონ აკაკი გელოვანს პ.მურადიანის საქციელმა ასეთი სიტყვები ათქმევინა:

ეპიდოგი

ღმერთმა ნაქურდალ ნიეთებში ნახა
მიქელანჯელო, გოეთე, ვერდი,
მარჯანიშვილი, ბახი, შენიე,
რემბრანდტი, დუზე – გაგიუდა
ღმერთი
თქვა: „სად მეძინა? რა მეხი მეცა?
ვერ დამისჯია ადამი კარგად!
მომიპარავენ უთუოდ მეცა!“
და მეცხრე მთაზე გადაიკარგა.

...საქართველოში კარგა ხანია აქ მცხოვრებ სომეხთა ხელით საგოგმანებ წიგნად იქცა ქმოსკოვში რუსულ ენაზე დასტამბული წიგნი სათაურით: „Удивителный народ из страны чудес (Армения и Армяне - уникальный феномен цивилизованного мира)“. М., 1993. წიგნის რედაქტორია ვინმე ს.ს. მამულოვი?!

ვიდრე წიგნზე სათქმელს ვიტყოდეთ, ავტორ ს.მამულოვის შეგონებას უნდა მივაქციოთ მკითხველის ყურადღება. „**Армяне**, – წერს ს.მამულოვი, – **никогда не сливались к народами, которых им приходилось жить** (ხაზგასმა ჩვენია ი.ა)“ (გვ. 17). რითაა მნიშვნელოვანი მოხმობილი აბზაცის შინაარსი?! სომხები ჩვენ მუდმივად გვიკიჟინებენ, რომ თითქოს ჩვენ სომხებს ვაქართველებთ, ერთ დროს ის ქართველები, რომლებმაც რაღაცა განგებით მიიღეს გრიგორიანული სარწმუნოება სომხები არიან და ა.შ. სწორედ ამ მოსაზრების დასასაბუთებლადაა გამიზნული (ალბათ მალე წამოგვიყენებენ ალიბად) ქვემო ქართლის ეკლესიებიდან ეჩმიაძინში (1978 წელს) გატანილი საეკლესიო წიგნები. იმხანად რესპუბლიკის სახელმწიფო არქივის ხელმძღვანელობამ, რის ფასად, ვერ ვიტყვით, მაგრამ ფაქტია, რომ მხოლოდ თეთრი წყაროდან წაიღეს (სომხეთს გაატანეს) 71 წიგნი. სომხურ სოფლებად ჩათვალეს და წაიღეს წიგნები – დურნუკიდან (დიდი და პატარა) 1877–1885 წლები, სულ 11 წიგნი, აღბულაღიდან (იგივე თეთრი წყარო, უფრო ადრე გორისი), 1878–1886 წლები – 8 წიგნი, **სამშველდიდან** იმავე წლებში 9 წიგნი, **დიდი თონეთიდან** 1868–1885 წლები (ნუ დაგვავიწყდება, აქ მასწავლებლობდა დიდი ვაუა ფშაველა, აქ დაიბადა ვახუშტი კოტეტიშვილი) 17 წიგნი, **პატარა თონეთიდან**, 1878–1885 წლები – 9 წიგნი, სოფელ კოდიდან ამავე წლებში 9 წიგნი (სულ 71).

ჩვენს მეზობლებს ისიც დაავიწყდათ, უფრო სწორად ივიწყებენ იმ ჭეშმარიტებასაც,რომ „без армянского языка не могло быть и не может быть армянского народа (Мамулов С.С. იქვე, გვ. 18). შეუძლებელია სულ რაღაც 100–150 წლის მანძილზე კომპაქტურად მოსახლე სომეხმა ისე დაიკიჟოს მშობლიური სომხური სხვა ხალხთა სალაპარაკო ენის ხარჯზე, რომ „ინჩი-ბინჩი“ აღარ იცოდეს. ეს ხომ აბსურდია.

ჩვენს მეზობლებს სათქმელი და სადაო რომ არ გამოლეოდათ, თავიდანვე ასეთ თავისებურებას დაუდეს სათავე. რაზედაც აქაა საუბარი, თვით სომხური ენის თავისებურებას მიაწერეს. მოვუსმინოთ ს.მამულოვს: „Специфическая особенноть армянского языка - образование новых терминов происходит, как правило, не путем внедрения иностранных слов, а путем их перевода. Например слово “телеграф “ на всех языках, кроме армянского, звучит одиноково, а по армянски - “херагир “ – “херу “ – далеко, а “гир “ – письмо).

დიად, სწორედ ამითაა გაპირობებული, რომ საკუთარი სახელი **იაკობი**, სომხებთან **აკოფაა**, **გიორგი**, **გეო**, **გეეო** და **გეურქაა**, **გრიგორი** **გრიქურაა**, **იოანე** **კარაპეტა**, **მოსე** კი **მოვსესაა** და ა.შ. ამის მიხედვითვეა ნაწარმოები გვარები: **აკოპიანი**, **აკოფჯანოვი**, **გუკასიანი**, **გეურქოვი**, **გრიგორიანი**, **კარაპეტიანი**, **მოვსესოვი** და სხვ.

ს.მამულოვის წიგნი ეძღვნება მსოფლიოში მცხოვრებ ცნობილ სომხებს. მათ შორის სომხებად არიან ჩათვლილი (მიკუთვნებულნი), ვ.გ. **დეკანოზოვი**, დიპლომატი, პირველი საბჭოთა ელჩი გერმანიაში, 1940–1941 წწ.; **გ.ასათიანი** პირველი საგარეო საქმეთა მინისტრი თურქეთში (XIX ს.); **გ.დ.ხახანოვი** (იგივე ხახანიანი), საბჭოთა მხედართუფროსი, კომკორი (1935 წ.), **ლ.ა.ორბელი**, ცნობილი ფიზიოლოგი, **რ.ა.ორბელი** –არქეოლოგი, **ი.ა.ორბელი** – აღმოსავლეთმცოდნე, ნ.ს.ენიკოლოფოვი – ქიმიკოსი, აკადემიკოსი, **ვ.ი. მამასახლისოვი** (1907–1973) ცნობილი ფიზიკოსი, საქართველოს აკადემიის აკადემიკოსი, **ა.ა.ქალანთარი** (1852–1937) რძის საქმის დიდი სპეციალისტი, **ა.ჩილინგაროვი** ყინულოვანი კონტინენტის ერთ-ერთი ცნობილი მკვლევარი, **ვ.ი.მურადელი** (მურადოვი) (1908–1970), ცნობილი კომპოზიტორი და საზოგადო მოღვაწე, ახალგაზრდობის საერთაშორისო ფესტივალის ჰიმნის ავტორი, **კ.ს. სარაჯევი** (1877–1954) სამამულო სადირიჟორო სკოლის ერთ-ერთი ფუძემდებელი, **კ.ნ.სარაჯევი** – ზარზე (на колоколах) დამკვრელი, ოქტავა'ში ესმოდა 1701 ბგერა, **ვ.დ.ყორღანოვი** (1868–1934) ცნობილი მუსიკათმცოდნე. ფ.შალიაპინის პირველი რეცენზენტი და კრიტიკოსი; **კ.ა. ორბელიანი** ცნობილი კომპოზიტორი. სომხეთის ცნობილი საესტრადო ორკესტრის ხელმძღვანელი. პირველმა მან წარადგინა ჯაზი აშშ-ში; **გურჯიანი ა.** (საფრანგეთი) თანამედროეობის ერთ-ერთი გამოჩენილი სკულპტორი, ევროპაში ლ.ტოლსტოის ერთადერთი ძეგლის ავტორი; **ი.ს.იარალოვი** არქიტექტურული მეცნიერების ერთ-ერთი თვალსაჩინო მოღვაწე, არქიტექტურის ინსტიტუტის უცველელი ხელმძღვანელი; **გ.ორბელიანი** (აშშ), სან-ფრანციკოს საავჭრო პალატის ვიცე-პრეზიდენტი...

ისე, თანამედროვე პატკანოვ-არწრუნქიშმოვებს ყნოსვა კარგად აქვთ განვითარებული, მაგრამ ტყუილს რომ მოკლე ფეხები აქვს, ამას ანგარიშს არ უწევენ. თუმცა რა, ისინი სათქმელს მაინც ამბობენ, ქვეყანას თავს ახვევენ ახალ-ახალ ჭორებს და როგორც იტყვიან, უკვე დაბეჭდილს, გულითაც რომ გინდოდეს, ცულით ვეღარ ამოშლი. ჩვენ კი გუშინაც და დღესაც ვურიგდებით უსამართლობას, ემოძღვრავთ ერთმანეთს, უხერხულია, მეზობლებია, ნუ გავაღიზიანებთ და მისთ.

ჩვენ აქ ცალკეულ გვარებზე საუბარს არ შევუდგებით (მათ შესახებ დაინტერესებულ მკითხველს ვთავაზობთ წაიკითხოს წიგნში „ქართული გვარ-სახელები“ ი.ახუაშვილი, თბ., 1994), ისე კი ვიტყვით, რომ საკამათოდ გამხდარი ორბელ-ორბელიანებს გარდა (მავე გვარების ჩათვლით), დეკანოზიშვილები, ხახანაშვილები, ენაკულფაშვილები, მამასახლისაშვილები, ქალანთარიშვილები, ჩილინგარიშვილები (იგივე. ვარდიძეები), მურადაშვილი (მურადელები), სარაჯიშვილები, ყორღანაშვილები (იგივე ავდრახანაშვილარდაზიანები), იარალაშვილები (იგივე ბარათაშვილები), გურჯიშვილები, ყველა, როგორც ერთი, ქართველია, მათი უმრავლესობა ქართულ თავად-აზნაურულ საგვარეულოდან არის გამოსული.

დიახაც, ვეთანხმებით გადამდგარ პოლკოვნიკ ბატონ ვახტანგ თულაშვილს (ცნობილი წარჩინებული გვარის შთამომავალს), რომ ჯერაც არ გადაშენებულან ამ ქვეყნად იეზოვ-პატკანოვ-მურადიანები, რომლებიც არ უშვებენ მცირე შესაძლებლობასაც კი, რომ არ დაგესლონ შხამით, არ დაამცირონ ქართველი ერი, მისი მდიდარი წარსული, მისი ისტორია. ბატონი პარუირ მურადიანი, სერგეი არუთინოვი და ს.მამულოვი ამჯერად ის ადამიანები არიან, რომლებიც ასრულებენ ჩვენი ისტორიული მტრების მორიგ დავალებას და შულლს თესავენ ისტორიულად ორი მომმე ერში.

ყოველივე რაც ზემოდ ითქვა, ესაა მორიგი აღვირახსნილი, შორსგამიზნული ანტიქართული გამოხდომები, დანაშაულებრივი ქმედებანი, რომელიც გასცდა ორი ქვეყნის ფარგლებს და კარგა ხანია საერთაშორისო არენაზეც გავიდა. ასეთ თავგასულობას უნდა მიეცეს, როგორც მეცნიერული შეფასება, ისე საკადრისი პასუხიც.

იაკობ ახუაშვილი

● პრესა-ბიბლიანი

არქიმანდრიტი რაფაელი: „იელოვას მოწმეების“ სექტის შესახებ

შეკითხვა: როგორ მოხდება, მათი აზრით, მიცვალებულთა აღდგომა?

პასუხი: იეღოველების სწავლებით, პირველი აღდგომა უკვე მოხდა ან ხდება: ისინი გულისხმობენ 144 ათასი მართლის აღდგომას, რომელიც „აპოკალიფსშია“ ნახსენები (გამოცხ. 14, 1–5). იეღოველები ასწავლიან, რომ ისინი სხვა ფორმით აღსდგებიან – არა მიწიერი, არამედ ანგელოზებრივი სხეულებით, და ქრისტეს თანაგამგებელნი იქნებიან. აქ იეღოველობა საკუთარ თავს უპირისპირდება: თუკი სულის უკვდავება არ არსებობს, აღდგომა კი მხოლოდ ახალი სხეულის შექმნა და განხორციელებაა მიცვალებულის ფორმისა და ნიშუნის მიხედვით, მაშინ სხვა ანგელოზებრივი სხეულების შექმნას არაფერი ექნება საერთო 144 ათასი მართლის პიროვნებასა და ინდივიდუალობასთან. თანაც, სინამდვილეში „გამოცხადება“ ამ მართლებზე – ლაპარაკობს, როგორც ქალწულებზე, ანუ ბიბლიური სიმბოლიკის მიხედვით – მოწამეებზე, რომლებმაც დევნისა და მწუხარებების დროს სარწმუნოების სიწმიდე შეინარჩუნეს. აღდგომის შემდეგ მათ განეწესათ ქრისტესთან სიახლოვე, განსაკუთრებული სიხარული და ნეტარება. ამას „გამოცხადების“ წინასწარმეტყველურ ენაზე ეწოდება გალობა, რომლის გაგება „ცნობა“, თვით ამ მართალთა გარდა არავის შეუძლია. იეღოველები კი მართალთა ნეტარებას, როგორც სჩვევიათ, ერთგვარად უტილიტარული ფორმით წარმოგვიდგენენ, თითქოს ეს რაღაც საპატიო ადგილი იყოს თეოკრატიული სახელმწიფოს მმართველობის აპარატში – სინამდვილეში „აპოკალიფსში“ მსგავსი არაფერია თქმული. იეღოველთა აზრით, არმაგედონის შემდეგ აღდგებიან, ანუ ხელახლა შეიქმნებიან ძველი აღთქმის მართალნი და წინასწარმეტყველნი. შემდეგ კი – კაცობრიობის ის ნაწილი, რომელიც აღდგომისთვისაა გამორჩეული.

შეკითხვა: რა მოჰყვება მიცვალებულთა აღდგომას იეღოველთა სწავლების მიხედვით?

პასუხი: მართალთა ათასწლოვანი მეუფება მიწაზე. ამ ხნის მანძილზე სატანა შეკრული იქნება, ყველა მკვდრეთით აღმდგარი გაეცნობა იეღოველთა სწავლებას და, ვინც მას არ მიიღებს, მოკვდება და გაქრება. მართალთა ათასწლოვანი მეუფების დასრულების შემდეგ სატანა განთავისუფლდება, მრავალ ერს აცთუნებს და „იეღოვას მოწმეების“ წინააღმდეგ ომს დაიწყებს. სატანის ჯარები გოგის და მაგოგის წინაღმდეგობით გარს შემოერტყმიან იეღოველთა ბანაკს, მაგრამ ღმერთი სძლევს მათ. ამის შემდეგ მიწაზე დარჩებიან მართალნი, ისინი მშვიდობიანი შრომით, ძირითადად სოფლის მეურნეობით იქნებიან დაკარგულნი, სიკვდილი, სიბერე და სნეულება აღარ იარსებებს, დედამიწა კი იეღოველთა ხელით გაშენებულ ედემად იქცევა. მართალნი ოჯახებს შექმნიან და შთამომავლობა ეყოლებათ. იეღოველების ლიტერატურა დასურათებულია ილუსტრაციებით, რომლებზეც ოჯახის მკვდრეთით აღმდგარი წევრების შეხვედრის სცენებია გამოსახული: სხვადასხვა ასაკში გარდაცვლილნი – ბერიკაცები, ჭაბუკები და ჩვილი ბავშვები ერთმანეთს ეხვევიან და ხარობენ. იეღოველების აზრით, აღდგომის შემდეგ ბავშვები გაიზრდებიან, მიხრწნილი მოხუცები კი ყმაწვილკაცებად იქცევიან, შესაძლებელი გახდება ადამიანის ასაკის შერჩევა ანდა უკან დაბრუნება. მაგრამ მაშინ ხომ შეიძლება წინაპრებმა, ისე, რომ არც იცოდნენ, თავიანთ შთამომავლებზე იქორწინონ, მშობლები კი შეილებზე ახალგაზრდები აღმოჩნდნენ? ზოგიერთი იეღოვას აზრით, კაცობრიობა თავისი გამრავლების კვალდაკვალ თანდათანობით საცხოვრებლად ვარგის პლანეტებსა და ვარსკვლავებზე გადასახლდება, სხვანი კი ფიქრობენ, რომ როდესაც დედამიწას მოსახლეობა მოსჭარბდება, ადამიანები სტერილურები გახდებიან და შობადობა შეწყდებაო. მაგრამ მიწის საკუთრებად ქონა, სახლებისა და სასახლეების შენება, ოჯახების შექმნა და ბავშვების გაჩენა თავის თავში ხომ ენებასაც შეიცავს, ენება და საკუთრება კი მეტოქეობას იწვევს. ამიტომ იეღოველების ამქვეყნიური სამოთხე არ არის დახლეული ცოდვის გაჩენისაგან, რომელსაც ძალუძს დედამიწა კვლავ მსოფლიო ტრაგედიის ასპარეზად აქციოს.

ეროვნული გაზეთი

ნუგზარ ფოფხაძე:

ჩემთვის ერთ-ერთი პირველწყაროდან ცნობილია, რომ შევარდნაძემ უმალ არ დაასახელა პატიაშვილის გვარი. იყო სხვა კანდიდატურებიც

მეოთხე გვერდიდან

ხმებლობა, უფრო მეტიც, აშკარა დაპირისპირება!

მიუხედავად იმისა, რომ დიდ პოლიტიკაში „ანგელოზი“ არავინ არის, „ქათქათა“ ხელებიც–ნონსენსია და იმ დროისთვის არც მე გახლდით მაინც და მაინც „ჩვილი“ პოლიტიკოსი, ის, რაც იმდროინდელი ცკ-ს, ანუ პატიაშვილისეულ სამზარეულოს მენიუში აღმოჩნდა, ჩემთვისაც კი მოულოდნელი და გადასაყლაპად შეუძლებელი კერძი აღმოჩნდა. უზნეობას თავი რომ დავანებოთ, ზოგჯერ, აშკარა კანონსაწინააღმდეგო გადაწყვეტილებები და მოქმედება ერთობ საეჭვოს ხდიდა მიზანს, უპერსპექტივოს– მომავალს და, არ დავმალავ, ხმამაღლა ვვარაუდობდი, დამღუპველს–საბოლოო შედეგს..

ახლა, ამ ინტერვიუში თეორიული მსჯელობის დრო არ არის. ალბათ, უპრიანია ამ მოსაზრების ფაქტებით განმტკიცება. ასეც მოვიქცევი. მაგრამ მანამდე, მცირეოდენ ექსკურსთან ერთად, თქვენს ყურადღებას ერთ რამესაც მივაქცევ.

ადრეც მეკითხებოდა მტერ-მოყვარე და ახლა, ამ დღეებში, როცა ეს ჩემი დიალოგი ინტერესს იწვევს, ხშირად მესმის საქმეში ჩაუხედავ ახლობელთა მხრიდანაც კი, შეკითხვა: ასე თუ იყო, სად იყავი მაშინ, რატომ იმ დროს არ იცოდა საზოგადოებამ შენი ასეთი პოზიციაო.

–გამოგიტყდებით, ჩვენი საუბრისას მეც გამიჩნდა ეს შეკითხვა...

–ბუნებრივია. აკი გითხარით, „საქმეში ჩაუხედავი“ ადამიანისთვის მართლაც საკითხავია ეს.

მითქვამს და ახლაც გავიმეორებ: არაფერს, აბსოლუტურად არაფერს ახლა არ ვამბობ ისეთს, რაც სხვადასხვა ფორმით არ მითქვამს ადრე. ოღონდ, ქუჩაში ვერ გამოვიდოდი და რეჟიმისა და კომპარტიის მოწინააღმდეგეთა მიტინგებზე ვერ დავიწყებდი ჩივილს და „თავის მოწონებას“...

ღმერთმა დამიფაროს პირდაპირი შედარებისგან და პარალელისგან, მაგრამ ერთი ანეგდოტური შემთხვევა მახსენდება.

..60-იანი წლების ბოლოს ბაკურიანში შემოქმედი ახალგაზრდობის ტრადიციული სემინარები იმართებოდა. ყველანი იქ იყვნენ, ვინც დღეს საქართველოს სიამაყეს წარმოადგენს, ოღონდ მაშინ, ასეთი თმაშევერცხლილნი არ გახლდნენ. მაშინაც მიმდინარეობდა „მამათა და შვილთა ბრძოლა“.

ტრიბუნაზეა მწერალთა კავშირის მდივანი, კრიტიკოსი ბესო ჟღენტი. ახალი თაობისთვის უცნობია ეს უნიკალური პიროვნება, ცნობილი პოლემისტი. ის სტალინის ეპოქის პროდუქტი გახლდათ.

...ჰოდა, „ახალი“ თაობა მას ისეთივე „მწარე“ შეკითხვებით ბომბავს, როგორსაც ახლა თქვენი გაზეთი საჯაროდ უსვამს ჩემისთანებს. ისტორია მეორდება! გირჩევთ, ეს თქვენმა თაობამაც გაითვალისწინოს!

...შეკითხვები, რა თქმა უნდა, ქვეტექსტებით» არის აღსავსე, ზოგ რამესაც მოურიდებლად პირში ახლიან–არსი: თქვენ, უფროსი თაობა, ჯვარზე ხართ გასაკრავი, იმიტომ, რომ დაუშვით „37 წელი“, „კრინტი არ დაგიძრავთ“, ფიქრობდით ერთს და ამბობდით მეორეს, ახლა სულ სხვას ლაპარაკობთ, ბერიას დაძახებაზე უმალ მასთან გარბოდით...

და აი, აქ ბესო ჟღენტმა მოულოდნელი რეპლიკა–შეკითხვით შეაწყვეტინა მასზე თავდასხმით გალაღებულ ოპონენტებს: ამხანაგებო, მესმის რატომაც მსაყვედურობთ, მაგრამ, ერთი მითხარით, რომელიმე თქვენთაგანს პირადად, საკუთარი თვალით თუ გინახავთო.. ბერია?!.

ჩამოვარდა სამარისებური სიჩუმე და... ატყდა ხარხარი და ტაში.

...დიახ, არ არის ასე მარტივად წარმოსადგენი ეს საკითხი. 1970 წელს, კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის მდივანი იდეოლოგიის დარგში, „დამასმინეს“ და... სუკ-ის ერთ-ერთი ხელმძღვანელი შ.ზარდალიშვილი კაბინეტში დამადგა თავს და მომთხოვა ამერიკული ჟურნალი „ლაიფი“, საზღვარგარეთიდან რომ ჩამოიტანეო. ვიუარე. ჩემი სეიფი თვითონ გახსნა. თანაც „დამამშვიდა“, არ გავახმაურებთო და... პარტიის ცკ-ს მდივანს მ.გოგიჩაიშვილს თავი რომ არ გამოედო...

1971 წელს, მოსკოვში ერთ თათბირზე, „კომსომოლსკაია პრავდა“ გავაკრიტიკე. ვიღაც უწიგნური „აღტაცებული“ წერდა, საქართველოში ასანმა ბიჭმა გურული გოგონა მიიფვანა ტოლად და ნახეთ, რა ინტერნაციონალური(!) ოჯახი შეიქმნაო.

ხომ უმნიშვნელო რამ არის, მაგრამ შედეგი? საგანგებო მსჯელობის საგანი გახდა საქართველოს კომკავშირის ცკ-ს მდივნის არაინტერნაციონალური პოზიცია!

...დრო, სიტემა, პარტია, რეჟიმი, პარტიული დისციპლინა, სუბორდინაცია, აღზრდა, ოჯახი... თითოეული ამ სიტყვის უკან იმდენი რამ დგას, რომ ამას მარტო ემოციით ვერ განსჯი.

ამიტომ, ჩემი მაშინდელი თანამდებობრივი მდგომარეობის (ტელე-რადიოკომიტეტის თავმჯდომარე, ცკ-ს განყოფილების გამგე, „კომუნისტის“ რედაქტორი, ცკ-ს მდივანი) კაცს თავის პოზიციები უნდა დაეცვა და განემტკიცებინა მხოლოდ და მხოლოდ ამ მდგომარეობის შესატყვისი ფორმებითა და მეთოდებით მისსავე შესაფერის ადგილზე, იქნებოდა ეს პარტიული თავყრილობები–ცკ-ს ბიუროსა და სამდივნოს სხდომები, პლენუმები, სხვადასხვა კომისიებისა და სამუშაო ჯგუფების შეკრებები, პირველ მდივანთან და სხვა კოლეგებთან პირისპირ შეხვედრები. გარდა გულახდილი საუბრებისა პირადი შეხვედრების დროს ინტელიგენციის წარმომადგენლებთან, ახალგაზრდობასთან, მაშინდელ არაფორმალებთან, იყო ოფიციალური საჯარო გამოსვლები–თუნდაც მეცნიერებათა აკადემიაში, შემოქმედებით კავშირებში... მარტო უნივერსიტეტში, პარტიულ კონფერენციაზე 1988 წლის 4 ნოემბერს, სამსაათნახევარი ვუპასუხებდი უმწვავეს შეკითხვებს–გულახდილად, პირისპირ...

დაინტერესებულ მკვლევარს ამ პოზიციის დამადასტურებელი ფაქტების, დოკუმენტების თუ მოწმეების მოძიება არ გაუჭირდება. რაც შეეხება საპირისპირო „მაკომპრომეტირებელ“ მასალას–ჩემი ოპონენტები დაეხმარებიან. ეჭვიც არ მეპარება, უკვე „აკლებული“ იქნებით ზარებით, „კარვის ქალები“ მარტო ერთი კაცის პროგატივა როდი გახლავთ.

ზემოთქმული ეხება ჩემს შეცდომებსაც, ჩემი „შემრიგებლობის“, „თვალის დახუჭვის“ ცალკეულ შემთხვევებსაც, რომლებიც, რა თქმა უნდა, მქონდა. წინა პუბლიკაციებში კთქვი, თუ რა სინანულით განვიცდი ამ „ჩავარდნებს“. მათ გზადაგზა კიდევ შევეხები და ავხსნი, თორემ ძველი „პარტიული მენტალიტეტი“ მერე მიკიჟინებს: თვითკრიტიკული არ არისო „ამხანაგი“ ფოფხაძე...

განსაკუთრებული გულისტკივილის და განცდის საგანია 9 აპრილს დაღუპულები. სხვისი არ ვიცი და მე მას შემდეგ ერთი ღამეც კი მშვიდად არ მიძინია...

მივუბრუნდეთ შეკითხვის არსს...

თქვენ წელან გაინტერესებდათ, თუ რამდენჯერ და რამდენ ხანს ვიმუშავე პარტიის ცკ-ში პატიაშვილის პირველმდივნობის დროს. ორჯერ–პირველად პროპაგანდის განყოფილების გამგედ (წელიწადნახევარი–1986 წლის 11 იანვრიდან 1987 წლის ივლისის ჩათვლით) და შემდეგ–ცკ-ს მდივნად იდეოლოგიის დარგში (ათი თვე–1988 წლის 28 მაისიდან 1989 წლის 9 აპრილამდე).

ამჯერად შევჩერდეთ პირობითად პირველ პერიოდზე–1986-1987 წლები.

ესაუბრა
გუგაზ მეგრელიძე

გაგრძელება იქნება

როცა ენას გვგლეჯდნენ...

სტენოგრაფიული ანგარიში საქართველოს მწერალთა ღია პრებისა. 1978 წლის 11 აპრილი. პრების თავმჯდომარე — ნ.დუმბაძე

გაგრძელება. დასაწ. იხ. „საქართველო“ №4

თავმჯდომარე – სიტყვას ვაძლევ რეზო ჯაფარიძეს

რეზო ჯაფარიძე — მე არ ვილაპარაკებ რესპუბლიკის ახალი კონსტიტუციის დიდ ისტორიულ მნიშვნელობაზე, რომლის პროექტიც საკონსტიტუციო კომისიამ განსახილველად შემოგვთავაზა და რომელსაც საქართველოს სსრ ტერიტორიაზე საზოგადოების ყველა რგოლში განიხილავენ, პირდაპირ იმ მთავარ საკითხებს მივადგები, ყველას რომ გვაღელვებს და უკანასკნელი კვირეების განმავლობაში თავისი სამშობლოს ბედითა და ეროვნული მეობით დაინტერესებული ყოველი შეგნებული მოქალაქის ფიქრისა და ზრუნვის საგანი გამხდარა.

არ ვილაპარაკებ – მეთქი, ვამბობ, მაგრამ შეუძლებელია, კონსტიტუციის პროექტის მთლიან აღნაგობაზე მაინც არ ვთქვა ორიოდე სიტყვა.

მე მთელი შინაგანი რწმენით ვეთანხმები ყველა იმათ აზრს, ვისაც რესპუბლიკის ახალი კონსტიტუციის წარმოდგენილი პროექტი საბჭოთა ხალხის, მათ შორის ქართველი ხალხის, საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრები სხვა ხალხების შრომისა და ბრძოლის დიდ მონაპოვრად მიაჩნია.

ბევრ რამეს, რაც დღეს კონსტიტუციით დაკანონებულია, ჩვენ ისე მივეჩვიეთ, ვეღარც კი წარმოგვიდგენია, თუ შეიძლებოდა სხვანაირადაც ყოფილიყო.

ახალი კონსტიტუციის პროექტი წინ გადადგმული ნაბიჯია ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების შემდგომი დემოკრატიზაციის გზაზე და არ შეიძლება, ეს დიდი კმაყოფილებით არ აღვნიშნოთ.

გავიხსენოთ თუნდაც პროექტის 56–ე მუხლი: „საქართველოს სსრ მოქალაქეებს უფლება აქვთ გაასაჩივრონ თანამდებობის პირების, სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანოების მოქმედება. საჩივრები განხილულ უნდა იქნეს კანონით დადგენილი წესით და განსაზღვრულ ვადებში.

თანამდებობის პირთა მოქმედება, რომელიც არღვევს კანონს, ამეტებს უფლებამოსილებას, ლახავს მოქალაქის უფლებებს, შეიძლება კანონით დადგენილი წესით გასაჩივრდეს სასამართლოში“.

აქვე პროექტის 57–ე მუხლი საესებით სწორად მოგვაგონებს, რომ „უფლებათა და თავისუფლებათა განხორციელება განუყოფელია მოქალაქის მიერ თავის მოვალეობათა შესრულებისაგან“.

ეს და ბევრი სხვა რამ, რითაც ჩვენ შეგვიძლია თავი მოვიწონოთ, წინა კონსტიტუციებში არა გვქონია და სიახლე – დროის გამოძახილს, საზოგადოების განვითარების დღევანდელ დონეს გამოხატავს.

გვაქვს თუ არა რაიმე შენიშვნა კონსტიტუციის პროექტის მიმართ? გვაქვს, რასაკვირველია, გვაქვს. და რა არის ამაში ცუდი, თუ სახალხოდ ვიმსჯელებთ, ჩვენს დასაბუთებულ მოსაზრებებს პირუთვნელად გამოვთქვამთ და შეეცდებით სახელმწიფოს ძირითადი კანონის დახვეწას, კანონისა, რომლითაც ცხოვრებაში უნდა ვიხელმძღვანელოთ, რომელმაც უნდა განსაზღვროს ჩვენი საზოგადოების დღევანდელი და ხვალინდელი ფიზიონომია.

ამას იმიტომ მოგახსენებთ, რომ არ შემიძლია გაკვირვება არ გამოვთქვა ზოგიერთი წარმოება-დაწესებულებისა და ორგანიზაციის ხელმძღვანელთა მეტისმეტი ნერვიულობის გამო პროექტის განხილვის დროს. ზოგ ხელმძღვანელს რატომღაც ჰგონია, არ ვიცი, ეს ვინ ჩააგონა, რომ რაც უფრო ნაკლები შენიშვნა გამოითქმის კონსტიტუციის პროექტის მიმართ, მით უკეთესია, ეს თითქოს დიდ პოლიტიკურ შეგნებულობასა და ღრმა თეორიულ განსწავლულობას მოასწავებს.

ნება მიბოძეთ არ დაეთანხმო ამ პირებს,რომელთაც, ისევე როგორც მე, უფლება აქვთ თავიანთი აზრი იქონიონ, მაგრამ უმჯობესი იქნებოდა, თუ ხსენებული ხელმძღვანელი მუშაკები გამოიჩენდნენ მოთმინებას, მათი აზრისაგან განსხვავებულ აზრებსაც მოისმენდნენ და კი არ მიჩქმალავდნენ ამ აზრებს, როგორც ზოგიერთ წარმოებადაწესებულებაში ხდება, არამედ საკონსტიტუციო კომისიის ყურამდე მიიტანდნენ განსახილველად და ასაწონ-დასაწონად.

მომყავს საკავშირო კონსტიტუციის 31–ე მუხლი: „სსრ კავშირში დაწესებული ერთიანი საკავშირო მოქალაქეობის შესაბამისად საქართველოს სსრ ყოველი მოქალაქე სსრ კავშირის მოქალაქეა“. ე.ი. როგორ უნდა გავიგოთ ეს დღესაეით ნათელი პუნქტი ანუ რას ნიშნავს ეს? „საქართველოს სსრ მოქალაქის“ ინსტიტუტი, როგორც ასეთი, განცალკევებით და ხაზგასმით არ იხმარება, ვინაიდან ყველა ის, ვისაც მოქალაქეობა აქვს საქართველოს სსრ–ში, არც მეტი, არც ნაკლები, სსრ კავშირის მოქალაქეა და ჯიბეში სსრ კავშირის მოქალაქის პასპორტი უდევს.

მაგრამ აი, რა წერია საქართველოს კონსტიტუციის პროექტის მე–13 თავის 114–ე მუხლის მე–11 პუნქტში: საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭო „აძლევს საქართველოს სსრ მოქალაქეობას; წყვეტს თავშესაფრის მიცემის საკითხებს“.

როგორ შეეუთანხმოთ ეს პუნქტი ამავე პროექტის 31–ე მუხლს? მართლა უფლებამოსილია საქართველოს უმაღლესი საბჭო, საქმოქალაქეობა, არსებითად კი სსრ კავშირის მოქალაქეობა მიანიჭოს ან ჩამოართვას ვისმე? მაშინ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭო რაღას გააკეთებდა საკავშირო კონსტიტუციის 121–ე მუხლის მე–10 პუნქტის საფუძველზე? ეს ხომ რესპუბლიკის სუვერენიტეტის მის ფარგლებს გარეთ გავრცელება იქნებოდა?

საეჭვო როდია, რომ აქ რაღაც შეუსაბამობა არის დაშვებული და უნდა გასწორდეს, მიუხედაეად იმისა, რომ აღნიშნული პუნქტი, უცვლელი სახით, მე სხვა რესპუბლიკების კონსტიტუციების პროექტებშიაც ვნახე. თუ მოქალაქეობას ვაძლევთ ვინმეს, ჩამორთმევაზე რომ აღარაფერი ვთქვათ, მოქალაქის პასპორტიც უნდა მივცეთ სსრ კავშირში კი, საკავშირო კონსტიტუციის შესაბამისი მუხლის საფუძველზე, პასპორტი ერთგვაროეანია, „სსრ კავშირის მოქალაქის პასპორტი“.

კიდევ შეიძლებოდა რამდენიმე მსგაესი შენიშვნის გაკეთება, მაგრამ ამ მიმართულებით მე სიტყვას აღარ გავაგრძელებ.

როგორია ჩემი დამოკიდებულება კონსტიტუციის პროექტის 75–ე მუხლისადმი? მოურიდებლად და პირუთვნელად ვიტყვი – უარყოფითი და აი, რატომ: იგი, ეს მუხლი, რეალურად არ ასახავს რესპუბლიკის საზოგადოებრივი ცხოვრების ფაქტიურ მდგომარეობას, ეწინააღმდეგება ამავე პროექტის სხვა პუნქტებს და, რაც მთავარია, არ შეესაბამება სსრ კავშირის ამჟამად მოქმედ ახალ კონსტიტუციას, ძირითად კანონს.

ახლა შეეეცდები ეს ჩემი მოსაზრება შეძლების კეალობაზე დავამტკიცო. საქართველოს კონსტიტუციის 110–ე მუხლში ეკითხულობთ: „საქართველოს სსრ კანონები, საქართველოს სსრ პროექტი, უმაღლესი საბჭოს დადგენილებები და სხვა აქტები ქვეყნდება ქართულ და რუსულ ენებზე, ხოლო ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქისათვის – აგრეთვე ავტონომიური რესპუბლიკისა და ავტონომიური ოლქის ენაზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარისა და მდივნის ხელმოწერით“.

მაშასადამე, ამ მუხლის თანახმად, როგორ ყოფილა საქმე? ქართული ენა, როგორც საკანონმდებლო და აღმასრულებელი ორგანოების ენა, საყოველთაო ყოფილა საქართველოს სსრ ტერიტორიაზე. ეს ფაქტია, კონსტიტუციის პროექტი ამ ფაქტს აღნიშნავს და ადასტურებს. ამას გარდა, ავტონომიურ რესპუბლიკასაც (აფხაზეთი) და ოლქსაც (სამხრეთ ოსეთის ავტ.ოლქი) ჰქონიათ თავიანთი საყოველთაო ენა თავიანთ ტერიტორიაზე, რომელიც ქართული ენის პარალელურად მოქმედებს. საქართველოს სსრ, როგორც ჩაწერილია საკავშირო კონსტიტუციაში, მრავალეროვანი საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შემადგენელი ნაწილია, მისი ერთ-ერთი მოკავშირე რესპუბლიკაა.

სსრ კავშირის კონსტიტუციის 76–ე მუხლი „მოკავშირე რესპუბლიკის“ ცნებას განმარტავს:

„მოკავშირე რესპუბლიკა არის სუვერენული საბჭოთა სოციალისტური სახელმწიფო, რომელიც სხვა საბჭოთა რესპუბლიკებთან გაერთიანდა საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკათა კავშირად“.

კონსტიტუცია შემდეგ გვისურათებს, რომ მოკავშირე რესპუბლიკას აქვს სუვერენული სახელმწიფოსათვის დამახასიათებელი ყველა ატრიბუტი, მათ შორის სახელმწიფო ალამი, სახელმწიფო გერბი, სახელმწიფო ჰიმნი და სახელმწიფოს დედაქალაქი.

გადავხედოთ გერბის აღწერილობას საქართველოს კონსტიიტუციის პროექტის 180ე მუხლში: „...ნამგლისა და უროს ქვემოთ არის წარწერა ,ქართულ და რუსულ ენებზე: სსსრ...“.

მაშასადამე, რას გვეუბნება ეს მუხლი? იმასვე, რაც უფრო ადრე ამავე პროექტის 110–ე მუხლმა. ხოლო შემდეგ, 171–ე მუხლმა გვაუხრა კერძოდ ამას, რომ ქართული ენა საქართველოს სსრ რესპუბლიკის ენაა, საქართველოს სსრ ტერიტორიაზე სახელმწიფო მართვა-გამგეობა ამ ენაზე ხორციელდება, ამავე ენაზე ხორციელდება სამართალწარმოება, რაც იმას ნიშნავს, რომ, რაკი სსრ კავშირის კონსტიტუციის თანახმად, საქსსრ სუვერენული სახელმწიფოა, მის ენას, რესპუბლიკის ენას, სახელმწიფო ენის მდგომარეობა უკავია. როგორ შეესაბამება ყოველივე ეს, რასაც ახლა მე ვამბობ, სსრ კავშირის ამჟამად მოქმედ ახალ კონსტიტუციას?

სსრ კავშირის კონსტიტუცია, მუხლი 116:

„სსრ კავშირის კანონები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დადგენილებანი და სხვა აქტები ქვეყნდება მოკავშირე რესპუბლიკების ენებზე და მათ ხელს აწერენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე და მდივანი“.

მუხლი 159:

„სამართალწარმოება მიმდინარეობს მოკავშირე ან ავტონომიური რესპუბლიკის, ავტონომიური ოლქის, ავტონომიური ოკრუგის ენაზე ან მოცემული ადგილის მოსახლეობის უმრავლესობის ენაზე“.

მუხლი 169:

„საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის სახელმწიფო გერბი წარმოადგენს ნამგლისა და უროს გამოსახულებას მზის სხივებით გაცისკროვნებული დედამიწის ფონზე, გარშემოვლებულია თავთავებით და მოკავშირე რესპუბლიკების ენებზე აწერია: „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!“

მაშასადამე, ამიერიდან, სსრ კავშირის კონსტიტუციის თანახმად, კანონდება და არსებობს ცნება: „მოკავშირე რესპუბლიკის ენა“, რომელმაც, თავისთავად ცხადია, ასახვა უნდა ჰპოვოს ყველა მოკავშირე რესპუბლიკის და მათ შორის საქართველოს კონსტიტუციაში.

ჩვენი პროექტის 75–ე პუნქტი ამ გარემოებას არ ასახავს და ამდენად და ამ მიზეზით იგი სსრ კავშირის ამჟამად მოქმედ კონსტიტუციას, ჩემის აზრით, არ უნდა შეესაბამებოდეს, რაც მას, საკავშირო კონსტიტუციის ძალით, თავისთავად აყენებს კანონგარეთ. მე აღარაფერს ვამბობ იმაზე, რომ გარდა სომხეთის სსრ კონსტიტუციის პროექტისა, ეს პუნქტი არ მოიპოვება სსრ კავშირის დანარჩენი 13 მოკავშირე რესპუბლიკის კონსტიტუციებში, რაც საქართველოს რაღაც მოჩვენებითი პრივილეგიურ მდგომარეობაში აყენებს. ჩემი ღრმა რწმენით, საქართველოს, მის ხალხს, ეს პრივილეგია, არც მოჩვენებითი და არც ნამდვილი, არ ესაჭიროება.

საღი აზრი და ფაქტების ერთადერთი ლოგიკა მოითხოვს, განსახილველად შემოთავაზებული კონსტიტუციის პროექტიდან საერთოდ ამოღებულ იქნას 75–ე მუხლი, როგორც საკავშირო კონსტიტუციასთან შეუსაბამო, ხოლო პროექტის მე–10 თავი შესწორდეს და იკითხებოდეს ასე: „საქართველოს სსრ ენა, გერბი, ალამი, ჰიმნი და დედაქალაქი“, ტექსტში სათანადო ცვლილებების შეტანითურთ (ტაში).

მომდევნო ნომერში გამოქვეყნდება გიორგი ნატროშვილისა და ელგუჯა მაღრაძის გამოსვლის სტენოგრამები.

ლებედი არჩევნებს მარტში ელის

გადამდგარმა გენერალმა ალექსანდრე ლებედმა, გერმანულ გაზეთს განუცხადა, რომ, მისი აზრით, ბორის ელცინის სუსტი ჯანმრთელობა, ალბათ, აუცილებელს გახდის მიმდინარე წელს ახალი საპრეზიდენტო არჩევნების ჩატარებას.

ყოველდღიურ გერმანულ გაზეთთან „თაგესშპილ“ ინტერვიუში მან თქვა, რომ ის არჩევნების გამოცხადებას მარტში ელის.

46 წლის ლებედი არ მალავს, რომ მას რუსეთის პრეზიდენტობა სწყურია. იგი მოხარული იქნება, თუ მხარს დაუჭერენ თვალის ექიმის სვიატოსლავ ფიოდოროვისა და რეფორმატორ ეკონომისტის გრიგოლ იავლინსკის პარტიები.

ნამდვილი მტერი — საკუთარი ჯანმრთელობა

ამერიკის გაზეთის „კრისჩენ საიენს მონიტორის“ აზრით, რუსეთის პრეზიდენტი ბორის ელცინი სანამ ავადმყოფობს, ქვეყანა მელანქოლიის მდგომარეობაში იქნება. არ წყდება სახელმწიფოს არც საშინაო, არც საგარეო პოლიტიკის საკითხები.

დღემდე, - წერს გაზეთი - არ არის გარკვეული მოსკოვის დამოკიდებულება ნატოს აღმოსავლეთით გაფართოებისადმი.

დღეს ელცინს მეტი მტერი ახვევია, ვიდრე მოყვარე, მაგრამ ბორის ელცინის ნამდვილი მტერი მისი საკუთარი ჯანმრთელობაა - დასძენს „კრისჩენ საიენს მონიტორი“.

ნაინა ავად გახდა

ბორის ელცინის 64 წლის მეუღლე - ნაინა ავად გახდა და მოსკოვის ცენტრალურ კლინიკურ საავადმყოფოში (ცკბ) დააწვინეს. ამაღე საავადმყოფოში ფილტვების ანთებისაგან კურნავენ ბორის ელცინსაც.

პრეზიდენტის წარმომადგენელმა სიასტარუმბსკიმ განაცხადა, რომ ნაინას ინფექცია აღმოუჩინეს, მაგრამ ავადმყოფობა საშიში არაა. ამ საკითხის შესახებ სხვა დეტალები მას არ წარმოუდგენია.

კაზაკები გალაშქრებას ითხოვენ

სტავროპოლის ოლქში ჩატარდა თერგისა და ჩრდილოეთ კავკასიის კაზაკთა გაფართოებული ყრილობა, რომელზეც კელავ გაიჟღერა ტერიტორიულმა პრეტენზიებმა ჩრდილოეთ კავკასიის ზოგიერთი რესპუბლიკის მიმართ.

კაზაკები ჩეჩნეთთან საზღვრის მკაცრ ბლოკირებას და თანამოძმეთა დასაცავად ჩრდილოეთ ჩეჩნეთის ნაურისა და შელკოვსკოეს ოლქებზე გალაშქრებას, თავიანთი შეიარაღებული ფორმირებების შექმნას, დამტკიცებას ითხოვენ.

დაძაბულობის განსამუხტავად სტავროპოლში ჩაფრინდა რუსეთის უშიშროების მდივნის მოადგილე ბორის ბერეზოვსკი.

განზრახულია ვარსკვლავური ომების გეგმის აღორძინება

ინგლისის თავდაცვის სამინისტროს სტრატეგოსებს განზრახული აქვთ აღორძინონ ვარსკვლავური ომების გეგმა. გამოკვლევაში აღნიშნულია, რომ ბრიტანეთმა უნდა დაიწყოს სამუშაოები რაკეტსაწინააღმდეგო სისტემის შესაქმნელად.

სისტემის საფუძველი იქნება „ბოინგ-747“ მოდიფიცირებულ თვითმფრინავზე დაყენებული ლაზერები. ეს ლაზერები გაანადგურებენ მოწინააღმდეგის რაკეტებს.

ლონდონი მარტო ვერ აუვა რაკეტსაწინააღმდეგო ფარის ხარჯებს. ამიტომ კომპანიონებად ეპატიჟებიან ამერიკის შეერთებულ შტატებს, საფრანგეთსა და იტალიას.

მოლაპარაკება უშედეგოდ დამთავრდა

დასავლეთ ტაჯიკეთის ქალაქ თურსუნზადეში, სადაც უდიდესი საწარმო - ალუმინის ქარხანა მუშაობს, სულ უფრო იძაბება ვითარება. მოსახლეობა წინ გადაუდგა პრეზიდენტის გვარდიის ტანკებს, რომელსაც გენერალი მირზოევი მეთაურობს. ქალაქის ხელისუფლებასა და გვარდიის ხელმძღვანელობას შორის გამართული მოლაპარაკება უშედეგოდ დამთავრდა.

მოამზადა
გელა იზოშვილმა

● სატირა

აი, მიგნება, ბრავო!

განამებული პროფესორის ფელეტონი

მოვიდა 1997 წელიც. ის წელი, რომელიც, 1992 წლის მთავრობის დაპირებით, საქართველოს გაფურჩქვნისა და აყვავების მესამე წელი უნდა ყოფილიყო. ალბათ, ხუმრობდნენ ჩვენი ქვეყნის მაშინდელი მესვეურები, ჩვენ კი მას ბავშვურად სიმართლედ ელებულობდით. მთელი სერიოზულობით უნდა ვთქვა: თუ თანამედროვე ტერმინით ვიტყვით, ცუდი შაყირი არ გამოსვლიათ!

დიახ, დადგა 1997 წელი და მას იმედიანი და გაცინებული სახეებით შეეგებეთ, ტელევიზორის ეკრანზე ეტლიკინებთ და ეტლინკაობთ, ვიმხიარულებთ თავს, მაგრამ ეს ოხერი მხიარულება არა და არ გამოგედის. როცა ამა თუ იმ ანეკდოტსა თუ ოხუნჯობაზე სიცილით მუცელზე ვსკდებით, თვალწინ მაინცადამაინც მაშინ წარმოგვიდგება საქართველოს რუკა, შინ და გარეთ სამათხოვროდ ხელებგაწვდილი ქართველი, ათიათასობით ახალგაზრდისა და ნაადრევად წასული პენსიონერების ცხელი საფლავები და, ძნელია თავი მარტო იმით ინუგეშო, რომ საქართველო ღვთისმშობლის წილხვდომილი ქვეყანაა ან „ევროპასა“ და სასტუმროების - „მეტეხისა“ და „საქართველოს“ რესტორნებში მუსიკა გრიალებს და გრიალებს შენი სისხლისა და ხორცის მქონე ერთი ნაწილი.

ამ დროს ცოტაოდენ გაიმედებს და ერთი სული გაქვს, ტელეეზიის მეორე არხზე როდის გამოჩნდება მიხეილ ცაგარელი, პროსკოპის ეს სწორუპოვარი მიხდია, და აგეიხსნის, რას გვაუწყებენ ვარსკვლავები. ეუსმენთ, ერთი მხრივ, ბატონ მიხეილს, რომელიც სფინქსის გაქვავებული სახით და ფოლადის ენით გვესაუბრება კოსმიურ საიდუმლოებაზე - ამა თუ იმ ბედის ვარსკვლავზე გაჩენილნი როგორნი არიან და რა მოელით, მეორე მხრივ, მის პაციენტებს - ჩვენი კულტურის გამჩენილ მოღვაწეებს, კინოსა და თეატრის მოკაშკაშე ვარსკვლავებს, რომლებიც აუღერტეულებულნი გულღიად და დიდი ხალისით წარმოჩენენ თავიანთ შინაგან ბუნებასა და შინაურ ყოფას. ეუსმენთ და გაოცებული და აღფრთოვანებული ვრჩებით იმ სრული ჰარმონიის გამო, რომელიც, თურმე, ცის ვარსკვლავთა გადაწყვეტილებებსა და მიწიერ ვარსკვლავთა ცხოვრებაში მათ განხორციელებათა შორის სუფევს.

დიახ, დიდი მოუთმენლობით ველოდებოდით დღეებისა და თვეების გასვლას და ახალი წლის დადგომას თუნდაც იმიტომ, რომ ჩვენი გამჩენილი ეკონომისტები, ბატონები თემურ ბასილია და ვლადიმერ პაპავა სერიოზული სახით და მტკიცე მსჯელობით გვარწმუნებდნენ უახლოესი მომავლის სიდიადეში. გახსოვთ, როდესაც ლარი შემოვიღეთ და ყველაფერზე ფასმა აიწია, კერძოდ, სამარშრუტო მიკრო-ავტობუსებით ქალაქში მგზავრობა 1000 მანეთი რომ ღირდა, 25-ის მაგივრად 30 თეთრი გახდა, ხოლო საქალაქთაშორისო ავტობუსებით მგზავრობის ფასი 15000 მანეთი, 3 ლარისა და 75 თეთრის ნაცვლად, 4 ლარით შეიცვალა, ხალხი აყაყანდა, - ფულის შეცვლას გაძვირება მოჰყვაო, მაშინ ჩვენი ეკონომიკის ამ კარუზოებმა ტელეეზიით გვისალბუნეს და დაგვამშვიდეს: ეს დროებითი ამბაეია, საბაზრო ეკონომიკა მას მალე დაარეგულირებსო. ჩვენ, არა მარტო ფულის, არამედ ეკონომიკურ ბარომეტრებს ვუყურებ

მორის არმქონეებმა, მათი ნათქვამი ისე გავიგეთ, ყველა ფასმატება, მათ შორის აღნიშნულიც, რამდენიმე თვეში გაქრებოდა, სახელდობრ, მგზავრობა კიდევ უფრო გაიაფდებოდა. სინამდვილეში, ერთწლიანი დარეგულირება ასე მოხდა: 30-თეთრიანი მგზავრობა ჯერ 40 თეთრი გახდა და შემდეგ - 50, 4-ლარიანი ჯერ 5-ით შეიცვალა და შემდეგ - 6-ით.

არა, ვერ დავიჯერებ, რომ, როგორც ძველად იტყოდნენ, ეს აღმატებული გვამები შემცდარიყვნენ, მით უფრო ვერ ვიფიქრებ, გვატყუებდნენ. ისინი უთუოდ „შაყირობდნენ“, გვართობდნენ და ჩვენ კი ამას ვერ ვხვდებით და არ ეუმადლით. ჩვენი ბრალია, რომ ვერ წარმოგვიდგენია, კაცი, რომელიც ქრისტეს ჰგავს თუ ბაძავს და ერთხელაც არ გაიღიმებს, ან წვერ-ულვაშს ისე დაიყენებს, ძველ ბერძენ ბრძენთაგან ვერ გამოარჩევ, შეიძლება ასე ოსტატურად ხუმრობდეს!

რა, თუკი კარგად გაიცნობიერებ, სასაცილოზე მეტი არ არის ის გარემოება, რომ მოსახლეობა დახარჯული ელექტროენერგიის მეათედის გადახდასაც ვერ ახერხებს და ამ დროს მის ღირებულებას 30 პროცენტით ვადიდებთ და კიდევ ორი თვის თავზე მის გაზრდას ისევ 30 პროცენტით ვაპირებთ? თანაც, როდის ხდება ეს და რა სახით - ზუსტად საახალწლოდ, თოვლის პაპის ხონჩაზე დადებული!

ბრავო, აზრისა და ქმედების სითამამესა და სიდიადეს!

მაგრამ შესაშინებელი აქ არაფერია, აქვე ამუშავდება ხალხის დამცველი მექანიზმი. მაშინ, როდესაც გაჭირვებული ხალხი ახალი წლიდან პენსიებისა და ხელფასების მომატებას ელოდა, ზოგი 100 პროცენტით, ზოგი არანაკლებ 40 პროცენტით, გავიგეთ, რომ პირველი იანვრიდან ყველა პენსიონერი მიიღებს დანამატს 1,30 ლარს, ოღონდ ეს თანხა მას კი არ მიეცემა, არამედ პირდაპირ „საქენერგოს“ ანგარიშზე გადაირიცხება. ამით საქართველოს პენსიონერთა მარაქას კიდევ ერთი პენსიონერი - „საქენერგო“ - ემატება. დანამატს მიიღებენ აგრეთვე საბიუჯეტო ორგანიზაციების თანამშრომლებიც და ბევრად უფრო მეტსაც - 3 ლარს, ოღონდ ჯერ საბოლოოდ დადგენილი არ ჰქონიათ, მთლიანად გადაერიცხება იგი „საქენერგოს“ თუ ნაწილობრივ - 2 ლარი.

გენიალური მიგნებაა, არა?!

აქამდე გენიალურ მიგნებად მიგვაჩნდა ხელფასების ამჟამად არსებული ე.წ. პროგრესული დაბეგვრა ან პარლამენტართა ძირითადი ხელფასისა და დანამატის ოქროს პროპორცია და მისი მიმართება სხვათა, მაგალითად, პროფესორის ხელფასთან. გახა, პარლამენტართა ხელფასის დანამატი არ მოგაგონებთ იმ ოინბაზ ჭიანჭველას, კომუნისტების დროს საზღვარზე რომ გადადიოდა და სპილო გადაჰყავდა, რომელსაც აქეთ-იქიდან თითო პურის ნაჭერი ჰქონდა შემოდებული? სპილოს გადაყვანისათვის საბუთის მოთხოვნაზე ჭიანჭველამ მესაზღვრეს რა რიხიანად უპასუხა, ეს ხემი ბუტერბროდიაო. პარლამენტარებს რომ ბუტერბროდი ეკუთვნით, ეს სადავო არ არის, მაგრამ უბედურება მაშინ იწყება, როცა მათ სპილოსოდენა ბუტერბროდს ვუბოძებთ, სხვებს ხმელი პურის ყუის მოთხოვნილება უჩნდებათ. ამ უკანასკნელთა დაკმაყოფილება კი სახელმწიფოს უჭირს.

მაშ, ასე: ხელფასზე გიმატებ 3 ლარს, რვალარნახევრიან პენსიაზე - 1 ლარსა და 30 თეთრს და, როგორც „კოლმეურნის ქორწინებაში“ ეორა შაგულიძე პაპიროსს ყველას მიაწოდებწაუჩვენებს და ჯიბისაკენ გააქანებს, მეც დანამატს „საქენერგოში“ გავაქანებ. შენ, მოქალაქე, ხომ მოგებული ხარ, - ხელფასი და პენსია მოგემატა და ელექტროენის საფასური ნაწილობრივ გადაიხადე, მეც, სახელმწიფო, მოგებული ვრჩები,- ყველას ვაჩვენებ, რომ დანაპირები ხელფასი და პენსია მოგიმატე. ხელფასის დანამატი 3 ლარი პროგრესული დაბეგვრის დროს გამომადგება. ხომ იცით, ყვავს რომ კაკალი გააგდებინო, ისიც ხეირია!

- ვერაფერს გენიოსურს ამაში მე ვერ ვხედავ, - მეკამათება ჩემი უნივერსიტეტელი მეგობარი, - ყოველ შემთხვევაში, ორიგინალური არ არის. ისე, როგორც პარლამენტში წარმოდგენილი კანონ-პროექტები სხვებისგანაა გადმოწერილი, ესეც ნიკო კეცხოველის ნაზრევიდანაა აწაპნილი.

გადამრევს ეს კაცი! როგორ თუ ნიკო კეცხოველისაგან?

- როგორ და, - მიხსნის ჩემი მეგობარი, - გახსოვს, ჩვენი სტუდენტობისას ქართლოს კასრაძემ უნივერსიტეტის სცენაზე რეჟტორი, ნიკო კეცხოველი, რომ გამოაჯავრა, თუ სხვა რამის გამო იყო, კარგად არ მახსოვს, ბატონი ნიკო მას დაემუქრა, სტიპენდიას მოგიხსნიო. ქართლოსი არ შეშინდა, მუქარა ფეხებზე დაიკიდა: სტიპენდია არ მაქვს და ვერ მომიხსნიო. - დაგინიშნავ და მოგიხსნიო! - რა დაუნდობლად უპასუხა ბატონმა ნიკომ. ჰოდა, პენსიისა და ხელფასის ეს მომატებაც და წართმეულიც იგივე არ არის? ახლა არ დამიწყო იმის მტკიცება, ეს ანეკდოტია და არა ნამდვილი ამბავიო! - დაასრულა განმარტება ჩემმა მეგობარმა.

ღმერთო დიდებულო, რას არ გაიგონებს კაცის ყური!

მე კი ოპტიმისტი ვარ და, რამდენიც უნდა გამომტყუნონ, მაინც აღტაცებით შევძახებ: აი, მიგნება, ბრავო!

ბორის დარჩია

რედაქციისაგან: ბუნებრივია ავტორის გულისტკივილი ფელეტონში წამოჭრილ პრობლემათა გამო. მართლაცდა, როგორ უნდა იარსებოს კაცმა 8 და, გნებავთ, 16 ლარით, ერთი დღის სამყოფი თანხით მთელი თვის განმავლობაში. ისიც გვესმის, ელექტროენერგიის საფასურიც რომ აუცილებლად გადასახდელია, მაგრამ ისიც გასათვალისწინებელია, რომ ხელფასების ხელოვნურად გაზრდა გამოიწვევს იმას, უბრალოდ რომ ვთქვათ, 16 ლარით იმის ნახევარსაც ველარ ვიყიდით, რამდენსაც 8 ლარით ვყიდულობთ დღესდღეობით.

ეს რეალობაა და ამაში ცალკეულ ჩინოვნიკებზე მთელი პასუხისმგებლობის აკიდება შეიძლება გადაჭარბებულიც იყოს, მაგრამ რა ქნას გაჭირვებულმა ადამიანმა, რომელსაც ვეუბნებით, ეს თანხა არ გყოფნის, მაგრამ გაორმაგებული უფრო მეტად არ გეყოფაო. რა ქნას საწყალმა პეპელამ, ვინმემ ხომ უნდა გასცეს ამ კითხვას პასუხი, ვინმემ ხომ უნდა გახსნას ეს აბურდული გორდიას ნასკვი?

ინტერვიუ არაპოპულარულ პიროვნებებთან

მოსწავლის ინტერვიუ მასწავლებელთან

საუბრობენ XI კლასის მოსწავლე მედეა თადიაშვილი და ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი ქ-ნი ცირა ნიჭაბაძე

– ორიოდე სიტყვით მასწავლებლის ცხოვრებიდან

– დღევანდელი მასწავლებელი, მართალია, ბევრს „თვალში არ მოსდის“, მაგრამ, ჩემი აზრით, გმირია, რადგან ეკონომიკური კრიზისისა და მწვავე პოლიტიკური ბატალიების შემდეგაც ემსახურო ახალგაზრდა თაობის აღზრდას, არც ისე იოლია. ბევრმა შეიძლება ვერ გაუძლოს ამას...

– მასწავლებლობა თქვენი მოწოდებაა?

– ალბათ, ვინაიდან არასოდეს მიოცნებია – მასწავლებელი გავხდები-მეთქი. ინჟინრობას ვაპირებდი, პედაგოგი გავხდი (ქიმიკოსობა მინდოდა, ქართულს ვასწავლი, თუმცა რა უშავს, ორივე ხომ „ქ“-ზე იწყება, ეს ხუმრობით), ეტყობა, ოჯახურმა ტრადიციამ განაპირობა) დედა, მამიდა, ბიძა – პედაგოგები, მხოლოდ მამაა – ინჟინერი.

– განიჭებთ თუ არა სიამოვნებას ბავშვებთან ურთიერთობა?

– ძალიან, თანაც იმ დონეზე, რომ ლაპარაკიც კი მიძნელდება (თუმცა სულ ვდაობთ რაღაცას, რა ვერ გავიყავით, თქვენ გაარკვიეთ...).

– რას განიცდით, როდესაც ბავშვი გეუბნებათ: „გაკვეთილი არ ვიცი“?

– გააჩნია, ვინ ამბობს. არის შემთხვევა, ზარმაცი მოსწავლის ნათქვამი – „არ ვიციც“ – შეგაწუხებს და ჩაგაფიქრებს, (კარგზე – არაფერს ვამბობ).

– გაკვეთილები ცდება, ბავშვები პასიურობენ, სათანადო ანაზღაურება არა გაქვთ – მიუხედავად ამისა, მაინც დადიხართ, რატომ?

– ჩემი გაკვეთილებიდან გამომდინარე ამას ვერ ვიტყვი, გაცდენა არც მე მიყვარს და არც ბავშვს ვაძლევ ამის უფლებას. რაც შეეხება პასიურობას – ვინც მესწრება, ოთხმოცი პროცენტი აქტიურია.

ანაზღაურება, მართალია, მცირეა და იგი უფრო სიმბოლურ ხასიათს ატარებს, ვიდრე შრომის საზღაურისას, მაინც არ ელალატება ჩვენი ქვეყნის მომავალ თაობას (თუ აღარ იელიან, გაუნათლებლები დარჩებიან და მომავალში წყვლა-კრულვით მოიხსენიებენ ჩვენს სახელს.

გარდა ამისა, თავს ნაბარათაშვილის სიტყვებით ვიმშვიდებ, პირადად, მე;

„არც კაცი ვარგა, რომ
ცოცხალი მკვდარსა ემსგავსოს,
იყოს სოფელში და სოფლისთვის
არა იზრუნოს!“

– სიცივეა, გათბობა არ არის... – შეიძლება ასეთ პირობებში სწავლა?

– რა თქმა უნდა, ძლიერ ძნელია, მაგრამ, ვისაც სურს, უარეს პირობებშიც ისწავლის, „თუ მოინდომებ“...

– თქვენი აზრით, როგორ უნდა ეცვას მოსწავლეს?

– ჩემთვის, უშუალოდ, არავითარი მნიშვნელობა არა აქვს ამას, მთავარია, ისწავლოს და საერთო საქმეს არ ულალატოს.

– დღევანდელი სკოლა ბავშვს რაიმე განათლებას აძლევს?

– თუკი მოინდომებს, რა თქმა უნდა, თუ – არა, მაშინ – ვერც მისცემს. სამწუხაროდ, მდგომარეობა გაართულა იმან, რომ დღევანდელი ფასიანი უმაღლესი სასწავლებლები ყურადღებას არ აქცევენ ბავშვის განათლების დონეს, გახშირდა ცხრაკლასდამთავრებულთა უმაღლეს სასწავლებლებში მოწყობა, ეს კი საქმეს უფუქებს სკოლას.

– ურჩევდით თუ არა თქვენს შვილს გამხდარიყო მასწავლებელი?

– ვერ გეტყვით. ყოველ შემთხვევაში – დედა არ მირჩევდა, ეს მამის სურვილი იყო.

– რას უსურვებდით დღევანდელ „კვიღეჭია“ თაობას?

– „ღვეთ, ბატონებო, ღვეთ!...“, მაგრამ სამშობლოს არ ულალატოთ, გამოადექით თქვენს ქვეყანას, ისახელეთ თავი და გვასახელეთ ჩვენც...

– რას ისურვებდით?

– პირველ რიგში, ჩვენი ქვეყნის ბედნიერებას, ჩვენი ერის სულიერ ამაღლებას, ქართველი ხალხის წინსვლას და წარმატებას, ყოველივე კარგს. იმედით ვუყუროთ მომავალს!

P.S. თუ სადმე სამართალია, ყველაზე მეტი ყურადღება ჩვენს მასწავლებლებს მართებთ ამა სოფლის ძლიერთაგან. ისინი ხომ გმირულად უძღებენ უხელფასობას, სიცივეს, გაჭირვებას და ჩვენ...

კაიფვორდი

ქროსვორდი



გამოინერეთ გაზეთი საქართველო

ილია ჭავჭავაძის სახელობის ბიბლიოთეკა

თარაზულად: 2. უეცარი გამართლების გამომხატველი გამონათქვამი, ხუთისა და ექვსის კომბინაცია; 6. „ლიას“ საღმრთო წიგნი; 10. „ორთქლიანი“ იტალიის ქალაქი (რუსკაუშ.); 11. „ტიპოთი მოსეირნე გრაფების“ სტამბა; 13. მანქანის ნაწილი, რომელიც „რეს ბოდიშს უხდის“ (ინგკაუშ.); 14. „ბონდის მწველი“ კაცის სახელი; 15. „მთვარეული“ შოკოლადი; 16. მინის მჭრელი, ძვირფასი ქვა; 19. სანთლების ჩასადგმელი„ დალი“; 23. პატარა ჩიტი; 24. „მორიანი“ ნარკოტიკი; 26. „მოჯიშე“ საკომისიო მაღაზია თბილისში; 28. „მისაკრავი“ მიწის საზომი ერთეული; 31. „ორი სინის მქონე“ იტალიელი ფეხბურთელი; 32. დასარხევი ხილი; 33. არასიმეღო ჭურჭელი; 35. სახლს მიშენებული ღია ნაწილი, რომელიც „ეანისკენ მიუთითებს“; 36. მარცხენა ანუ... 40. ეაფას ობოლი შველი; 41. „ზარის მცემი“ რომის იმპერატორი; 44. რა უნდა იყოს ბოდიში, რომ აფთიაქში გაიყიდოს? 45. გეარი, რომელიც ჰოლმსმა, უშველებელი ძაღლისაგან იხსნა; 48. „ფილატელისტების საყვარელი“ ფულის ერთეული; 49. ბუნდესლიგის გუნდი, რომელიც „რუსია“; 50. „ყველაზე ბლატნოი გვარი ჩინეთში“; 51. სარწმუნო „გია“; 55. ჰაელეს ბრატი; 57. „დამის ფრინველში მყოფი“ ამერიკის პრეზიდენტი; 58. „ბაციებული“ ქართული ბლუდა; 59. ირაკლის მოფერებითი კლიჩკა; 63. მუსიკის და მელოდიების მოყვარული „ფულიანი“ კაცი (ინგკაუშ.); 65. „მონების მიერ დაგეული“ გასასვლელი ხერელი (რუსკაუშ.); 66. „შემრეკი“ გიჟი; 68. „ნიკის მომლოდინე“ ფერადი ლითონი; 69. „დამსიგნალებელი“ ერისთავი (ფილ.).

ვერტიკალურად: 1. „მგლისა და ტურის საყმეველო ადგილას გაშენებული კულტურა“; 3. „გაქცეეა, დატყდომა...“ (ჯარგ.); 4. „ცის გამკერი“ თერძი; 5. „ტილიანი“ საქართველოს რაიონი; 6. დაუნდობელი, შეუბრალებელი „ოსი ბარბარა“; 7. „მყეფაეი“ ტყავი (რუსკაუშ.); 8. „სასარგებლო“ ხომალდი; 9. „პატარა ცხენის“ უმაღლესი ქუჩა ძიუდოში; 10. „პანის მტაცებელი“ ცხოველი; 12. „ბველის გასაზრდელი“ არე. ტასაცმლის ქვეშ; 17. „ახი ობიანი“ არტისტი; 18. „თვით ჭრილობაა“ ეს ფეხბურთელი (რუსკაუშ.); 20. ქალის „ზანტი“ სახელი; 21. „ლი ახ თქვენ?“ მდინარე (რუსკაუშ.); 22. ტრიბუნა, რომელიც „შემოთავაზებული არეა“; 25. ის, რაც ქურდებს დასდევს მუდამ“; 27. ყვავილი: „ცის საკუთრებაში მყოფი ნარი“; 29. საყოფაცხოვრებო მოწყობილობა, რომელიც დაყარების დროს სველობს სახლში არ გეჭიდეთ; 30. „ეაი კაცი“ ხე; 31. „თანახმა“ ნოტა (იტკაუშ.); 34. აქლემის შვილი „თხა“ (რუსკაუშ.); 36. „დაუზარებლად მოტრიალე, ბრუტიანი“ ხელსაწყო; 37. „რაჭველების აღმოჩენილი“ კონტინენტი (ფილმ.); 38. ბევრი ადამიანი ერთად; 39. „დასახლელი“ თარო; 42. „მექანიზებული კალამი“; 43. „ელბაზე მყოფი რუსის“ არაყი; 46. კომბლებიანი მასტი; 47. დიდყურება კაცის კლიჩკა; 52. იტალიის ფეხბურთის კლუბი, რომელიც „უნდა შეაციო“; 53. „კასასვლელი“ ძვალი; 57. „იაზე მისათითებელი“ სიტყვა; 56. „ემალიანი“ ცხვარი; 60. „ლერის“ მოფერება; 61. „წიეილ-–“; 62. „დავით თამაშის მოყვარული“ კაცის სახელი; 64. გაყოფისას დარჩენილი ზედმეტი რიცხვი; 65. „ევას შემაცდენელი“ ქვეწარმავალი; 67. „სამი ნარდში“.

კროსვორდი



თარაზულად: 1. ვაზის გასხლილი ტოტები; 3. იდეური ზემოქმედება ფართო მასებზე; 7. რაიმე საგნების სია, რომელიც გარკვეული წესით არის შედგენილი; 10. ბანქოს ერთგვარი ძველებური თამაში; 11. გაუშლელი ყვავილი; 13. კალის შენადნობი სპილენძთან, სურმასთან და სხვ. 15. ავსტრალიის ქალაქი; 17. ყვავილი; 18. ეიწრო გზა; 19. სმი ან მეტი მუსიკალური ბგერის პარმონიული შეერთება; 20. რუსეთის მდინარე; 25. აზნაურის წოდება ესპანეთში; 26. რისამე რთული და მნიშვნელოვანი ისტორია; 27. გარეული ფრინველი; 28. ამა თუ იმ პროფესიის ადამიანთა გაერთიანება სამეურნეო საქმიანობისთვის; 31. ებრაელთა და ქრისტიანთა „საღმრთო“ წიგნების კრებული; 34. დათქმული საიდუმლო სიტყვა ან ფრაზა, რომელსაც იყენებენ თავისიანების გამოსაცნობად; 36. საქართველოს მდინარე; 39. სპორტის სახეობა; 40. ერთად აკინძული სურათების ილუსტრაციების კრებული; 41. სამხედრო წოდება; 42. სოფელი თერჯოლის რაიონში; 44. მდინარე ურალში; 45. სამაჯური; 46. სახელისა და გვარის, სახელისა და მამის სახელის პირველი ასოები; 47. მომწამვლელი ნივთიერება.

შვეულად: 1. ტირიფი; 2. ამერიკელების მეტსახელი; 3. სახის ან საგნის გამოსახულება. შესახედაობა გვერდიდან; 4. ერთი სახელმწიფოს შეიარაღებული თავდასხმა სხვა ქვეყანაზე მისი დაპყრობის მიზნით; 5. სატირული ხასიათის მიბაძვა ვისმე სუსტი მხარეების გაკილვის მიზნით; 6. ქალაქი ოჰაიოს შტატში (აშშ); 8. გარეული ფრინველი; 9. მარადმწვანე ბუჩქი; 12. თანავარსკვლავედი ცის ეკვატორულ ნაწილში; 13. გერმანიის ქალაქი; 14. საქართველოს მდინარე; 16. მე–19 საუკუნის ქართული გაზეთი; 21. ელექტრულ წრედში დენის ძალისა და ძაბვის მარეგულირებელი ხელსაწყო; 22. რესტორნის, სასტუმროს ან სახლის მეკარე; 23. საზეიმო სვლა; 24. რისამე განვითარების უმაღლესი წერტილი; 27. სვეტი, რომელსაც ეყრდნობა შენობის ჭერი, თაღი; 29. რისამე სრულყოფის განსახიერება; 30. ციება, ციებ–ცხელება; 31. რისამე საფუძველი, საყრდენი; 32. მიწის საზომი ერთეული ინგლისში; 33. გერმანელი ფეხბურთელი; 35. საქართველოს ერთ–ერთი კუთხე; 36. ფერადი ზოლი ფორმის შარვლის გვერდით ნაკერზე; 37. ხურჯინის სინონიმი; 38. მაღალყელიანი კალოში; 43. თევლის ფერადი გარსი; 45. სოფელი ქარელის რაიონში.

წინა ღადავვორდის პასუხები

თარაზულად: 1. ბურუსი; 4. ბიზანტია; 7. ალა; 9. საირმე; 10. შახტი; 11. წაბლი; 13. ლილიპუტი; 15. ყავარი; 16. ბირეა; 19. ყურე; 20. რადიო; 22. სუკი; 23. ბლოკადა; 24. ავარია; 27. იდიოტიზმი; 30. ღუმელი; 31. აუდიტორია; 32. ნოე; 33. ბატონი; 34. მარადონა; 35. ანტისანიტარია.

შვეულად: 1. ბილწი; 2. რემბო; 3. სესილია; 4. ბარბი; 5. ნაშთი; 6. ანტიკვარი; 8. ალამი; 12. ლარი; 14. ლაკოსტა; 15. ყოყოჩი; 16. ბარაბანი; 17. რადიომიმღები; 18. ანტიპათია; 21. ომანი; 25. ვახტიორი; 26. რიარია; 28. ტალანტი; 29. მედიანა; 31. ალალი.

მთავარი რედაქტორი
ნოდარ გრიგალაშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, თავისუფლების მოედანი, კუშკინის ქ. 5
გაზეთის ინდექსი 66447
ფასი 50 თეთრი

ტელეფონები:
რედაქტორი: 93–20–36,
რედაქტორის მოადგილე: 93–18–41

რეგისტრირებულია თბილისის კრწანისის რაიონის სასამართლოს მიერ. №06/4-444